შაბათი, 1917 წ. ღვინობისთვის 7 (20) № 220

წლიწადი მეხამე

შაბათი, 1917 წ. ღვინობისთვის 7 (20) № 220

ფასი 15 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველო

**რედაქცია**

ხაგაზეთო მასალა უნდა იყოს დაწერილი გარკვეულად და ერთ გვერდზე. წერილში უნდა აღნიშნული იყოს ავტორის ვინაობა და მისამართი. უპირობოთ გამოგზავნილი მასალა უფასოთ ითვლება. დაუბეჭდავი საგაზეთო მასალა არ ინახება და რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას მის შესახებ არ კისრულობს.

რედაქცია ღიაა დილის 9—3 საათამდის, გარდა უქმე დღისა. სარედაქციო საქმეების გამო პირადათ მოლაპარაკება შეიძლება ამავ დროს.

**მისამართი:** თბილისი, მოსკოვის ქ. № 4. ფოსტის ადრესი: Тифлисъ, почт. ящикъ № 76. ტელეგრამის ადრესი: Тифлисъ. Сакартвело.

**კონტორა**

გაზეთის ფასი პირველ ენკენისთვიდან წლის ბოლომდე 12 მან. ერთი თვით (მხოლოთ თბილისში) 3 მან. ცალკე № 15 კაპ. განცხადების ფასი სტრიქონი პეტიტისა პირველ გვერდზე 40 კაპ. უკანასკნელზე—30 კაპ. საქართველოს გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი ორჯერ მეტია. ხამგლოვიარო განცხადება თითოეულ ზომით: 15╳2=8 მანეთი, 20╳2=10 მანეთი, 30╳2=15 მანეთი. მისამართის გამოცვლა ღირს ქალაქში 75 კაპ. ქალაქს გარეთ 1 მანეთი. ფული და წერილები, რომელიც კონტორას შეეხება უნდა გამოიგზავნოს კონტორის სახელზე. სასწრაფო განცხადებანი უნდა მოტანილ იქმნას არა უგვიანეს $1^1/_2$ საათისა კონტორაში. კონტორა ღიაა დილის 9 საათიდან 3 საათამდე და საღამოს 6—7 ს-მდე.

**ტელეფონი** რედაქციისა და კონტორისა 15—73

## გაზეთის შინაარსი

### ცნობებიდან

საზღვაო ბრძოლა რიგის ყურეში და რუსეთის ჯავშნოსან „სლავას" დაღუპვა. კუნძულ ოეზელის სრული დაპყრობა. დეპუტატთა საბჭოს ფარული სხდომა ფრონტის მდგომარეობის შესახებ. გლეხთა კავშირის მოწოდება დამფუძნებელ კრების არჩევნებისათვის და საკუთარ კანდიდატთა სიების შესადგენად. დამფუძნებელ კრების საარჩევნო კომპანია. საფრანგეთის პრესა ახალ რუსულ სამინისტროზე. გერმანელ სოციალ-დემოკრატების ყრილობა ვიურცბურგში. გერმანელთა მუდმივი სამხედრო საბჭო. ინგლისელთა ჯავშნოსან „შამპან"-ისა და ნაღმის მკრეფელ „ბეფონია"-ს დაღუპვა. სამხედრო წესები თერგის ოლქში.

### წერილებიდან

**მეთაური**—ქუთაისის დარბევა.

**ტიტე ტაბიძე**—ქართველ მწერალთა კონფერენცია.

**კათალიკოზ კირიონ** II-ის სიტყვა თქმული მცხეთობას.

**ა. ჩხენკელის** სიტყვა დემოკრატიულ თათბირზე წარმოთქმული. (სტენოგრამა)

**დ. კ—ძე**—თავადი თოლა (მოთხრობა).

**კ. მარტვილელი**—არტაანის მხარეში.

სტუდენტების მოწოდება ქართველ საზოგადოებისადმი.

ღრმად დამწუხრებული მეუღლე და ღავით ვასილის ძე სოლომონ ურისთავი შვილებით ამით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ 7-ს ამ თვეს შაბათს საღამოს 5 საათზედ, გარდაცვლილ იქმნება კუკიის სასაფლაოზედ ნახევარი წლის პანაშვიდი ტრაგიკულად დაღუპულ დაუვიწყარ და ძვირფასის შვილისა პირველთა და საყვარელი ძმისა მეორეთა

**ა რ ჩ ი ლ ი ს**

სულის მოსახსენებლად.

1—817—1

გულდამწვარი დედა ხარა გიორგის ასული და მამა ლუარსაბ ივანეს ძე თავადი ჩხოტუამიშვილი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ: გარდაიცვალა თბ. ქართულ გიმნაზიის I კლასის მოწაფე ქალი

**ლელე (ელენე)**

პანაშვიდი დღეს, 12 საათზე ქართულ გიმნაზიაში. წირვა ღვინობისთვის 8-ში წმ. ნინოს ეკლესიაში. დაკრძალვა იმავ დღეს წმ. ნინოს სასაფლაოზე.

1—818—1

**ღარიბ მოწაფეთა შემწე**

თბილისის გუბერნიის თავ.-აზნაურთა საზოგადოების

**საგანგებო კრების**

გაგრძელება დანიშნულია 8 ოქტომბერს, დილის 11 საათზე, ქართულ გიმნაზიის შენობაში.

კრების საგანი: გამგე კომიტეტის არჩევნები.

2—816—1

შაბათს, 7 ოქტომბერს, საღამოს 8 საათზედ დანიშნულია „ახალი საკრებულოს" წევრთა

**არაჩვეულებრივი კრება**

განსახილველი საგნები—საზამთრო ბინის შესახებ და სხ. კრება კანონიერი იქნება, რამდენი წევრიც უნდა დაესწროს.

1—794—1

**საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის მთავარი კომიტეტი**

იმყოფება ახალ ბინაზე, სასახლის ქუჩა № 5, ქართულ სათავადაზნაურო ბანკის პირდაპირ. ღიაა ყოველ დღე დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 1 საათამდინ და საღამოს 7—9 საათამდინ. ამ დროს განმავლობაში შეიძლება როგორც ცნობების მიღება, ისე წევრად ჩაწერა და შემოწირულების შეტანა.

**თბილისის**

**პირველი უბნის კომიტეტი**

ამით აცხადებს უბანში მცხოვრებ წევრთა და თანამგრძნობთა საყურადღებოდ, რომ პარტიის წევრათ ჩაწერა და ყოველგვარ ცნობების მიღება შეიძლება ყოველ დღე დილის 10—3 საათამდე და საღამოს 6—7-მდე „საქართველოს" რედაქციაში ბ-ნ ევგენი იაკობის ძე გეგეჭკორთან.

**მეექვსე და მეშვიდე უბნის კომიტეტი**

ამით აცხადებს, რომ წევრთა მიღება და ჩაწერა შეიძლება ყოველ დღე დილის 11—3 და საღამოს 5—7-დე ტაბუკაშვილის ქუჩა № 5, სახლი კლიმიაშვილისა.

**მერვე და მეცხრე უბნის კომიტეტი**

ამით აცხადებს უბანში მცხოვრებ თანამგრძნობთა საყურადღებოდ, რომ პარტიის წევრად ჩაწერა შეიძლება ყოველ დღე დილის 7—2 საათამდე და საღამოს 6—7 საათამდე ნიკოლოზ მოწერიძის მოსამართლის ბინაზე (ტურგენევის ქუჩა, სახლი № 4) კომიტეტის მდივან ვ. ყ ფიანთან.

**მეათე და მეთორმეტე უბნის კომიტეტი**

ამით აცხადებს უბანში მცხოვრებ თანამგრძნობთა საყურადღებოდ, რომ პარტიის წევრად ჩაწერა შეიძლება ყოველ დღე საღამოს 6—11 საათამდე ახალ საკრებულოს (ხაროფუზის კლუბი) ბინაზე კომიტეტის დროებით თავმჯდომარე დ. დუმბაძესთან და კლუბის ბუჰგალტერ კალატოზიშვილთან.

**ამიერ-კავკასიის ვაჭარ-მრეწველთა**

**ყრილობა**

იწყება 1917 წლის 15 ოქტომბერს

**პროგრამა ყრილობისა:**

1) მიმდინარე მომენტი (მოხს. ბ. ი. ამირაღოვისა).

2) შექმნა ვაჭარ-მრეწველთა ამიერ-კავკასიის ორგანიზაციისა (მოხს. გ. ე. ხანდამოვისა).

3) მომზადება დამფუძნებელ კრების არჩევნებისთვის (მოხს. გ. ე. ხანდამოვისა).

4) დაარსება ბეჭდვითი ორგანოსი (მომხს. მ. ი. ბერბერიანი).

5) ამიერ-კავკასიის ეკონომიური მდგომარეობა: ვაჭრობის მდგომარეობა, მრეწველობისა, სასურსათო საქმე, ტრანსპორტი, საგარეოშორისო ვაჭრობა (მოხს. ქ. ეერმიშევისა და მ. ბერბერიანისა).

6) ზოგიერთ საწარმოების ლიკვიდაციასთან დაკავშირებული საკითხები (მოხს. ზ. კაჭკაჭოვისა).

7) მზადება დემობილიზაციისთვის (მოხს. გ. მელიქ-კარაკოზოვისა და ა. ხოშიაგოვისა).

8) მოხსენება ადგილებიდან.

9) მიმდინარე საკითხები.

ვაჭარ-მრეწველთა ტფილისის საგუბერნიო კომიტეტი, რომელმაც იკისრა ყრილობის მოწვევა, სთხოვს საგუბერნიო და სამაზრო ვაჭარ-მრეწველთა კომიტეტებს, საბირჟო კომიტეტებს, მექარხნეთა და მეფაბრიკეთა საზოგადოებებს, ვაჭართა კამერებს, ხელოსანთა სამმართველოებს და ვაჭარ-მრეწველთა საზოგადო კრებებს, ნუ დაუცდიან განსაკუთრებულ მოწვევას და გამოჰგზავნონ წარმომადგენლები. დელეგატებს შესასვლელი ბილეთი მიეცემათ ტფილისის ვაჭარ-მრეწველთა კომიტეტის ბინაზე (პუშკინის ქ. ადრესი დეპეშისათვის: „Торгово-промышленный".

10—792—2

**ექიმის თანაშემწე**

**ვანო საათაშვილი**

ლებულობს ავადმყოფებს საღ. 4—6 საათ.—ვენერიულ სნეულთა წამლობა, კანქვეშ წამლის შეშხაპუნება. სისხლის ნაკლებით, ნერვებით აშლილთ, სიფილისიანთ და სხ. ელექტრიზაციით წამლობა, მასსაჟი, ყვავილის აცრა და სხ. მისამართი: ფასანაურის შესახ. № 3. (1-ლი სამილიციო ნაწილი).

32—748—თ.

**დოქტორი მედიცინისა**

მოსე ანთიმოსის ძე

**კალანდარიშვილი**

უმფროსი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა.

ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს მიიღებს დილის 8—9-მდე საღამოს 5—7. ტელეფ. № 17—21.

**ექიმი**

**ა. დ. კეკელია**

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე საღამოობით 6-დან 8-მდე. კანის, ვენერიულს და ათაშანგით (სიფილისი) (606-ს და 914-ს შეშხაპუნება) ავადმყოფებს. მიხეილის პროსპექტი № 116.

(თ—703—34)

1 ოქტომბერს—მცხეთობას მეექვსე სავაჟო გიმნაზიის მეოთხე კლასის მოწაფემ ნიკოლოზ მამულაშვილმა დაჰკარგა

**პალტო**

მპოვნელს სთხოვს აცნობოს შემდეგი მისამართით: ყაზბეგის ქუჩა № 25, ნიკოლოზ მამულაშვილს, სათანადო ჯილდოს მიიღებს.

2—1

**ეროვნულ-დემოკრატ მოწაფეთა საყურადღებოთ**

კვირას, ღვინობისთვის 8-ს დილის 11 საათზე, ქართულ გიმნაზიის შენობაში დანიშნულია

**ეროვნულ-დემოკრატ მოწაფეთა**

**საერთო კრება**

განსახილველია საყურადღებო საკითხები: სატაქტიკო, საორგანიზაციო და მოხსენებანი.

ყველა ამხანაგს ვთხოვთ აუცილებლივ დაესწროს.

გამგეობა.

**ქართულ კლუბის**

**მამასახლისთა საბჭო**

ამით აუწყებს ამავე კლუბის წევრთ, რომ კვირას, 8 ამ ოქტომბერს, დილის 12 საათზე დანიშნულია

**საგანგებო წევრთა კრება**

განსახილველია: 40 წევრის განცხადება, მიმდინარე კითხვები და მუდმივ მოსიარულეთა არჩევნები.

4—791—3

**ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტრო**

თბილისის № 24 საწყაოსა და საწონის შემმოწმებელი

**პალატა**

(მიხაილოვის პროსპექტი № 117)

აცხადებს, რომ, ვაჭრობის მე-748 და 758 მუხლის თანახმად, ყველა საწყაოს, საწონს და საზომს უნდა დასმული ჰქონდეს შემოწმებულის პალატის ბეჭედი. ამ ბეჭედს ძალა აქვს 5 წლის განმავლობაში.

ამიტომ პალატა სთხოვს სავაჭრო და სამრეწველო დაწესებულებებს, აფთიაქის, საწყობის, ფაბრიკების, ქარხნების, კანტორების, ბანკების პატრონებს და სხვა კერძო, საზოგადოებრივ და სახაზინო დაწესებულებებს, წარმოადგინონ ყველა საწონი, საწონის ქვები, სასწორები, [illegible] ხუთი წლისას, რძის, ღვინის და რძის საწყაოები; ნოკულო წყლის [illegible] ბეჭდიანი ან [illegible] 1919 წლამდე [illegible] დიდი და პატარა [illegible] ეს ქვეყნის [illegible]. დაუყოვნებლივ ბეჭდების დასასმელად. ვინც ამას არ შეასრულებს [illegible] ჩაწერა. რადგან რევიზიის დროს იმნაირი ბეჭდიანი, [illegible] სამასგამოერთიანება ყველა საწყაო, საწონი და საზომი და პასუხისგებაში მიცემული სასჯელთა დებულების მე-1175 მუხლის ძალით, საწყაო, საზომი და საწონი სწორე უნდა იყოს, წინააღმდეგ შემთხვევაში ბეჭედი არ დაესმება და გადასახადიც არ იქნება დაბრუნებული.

ვადები თბილისისთვის 1917 წელს,

ოქტომბერში—1, 2, 3 და 4 ნაწილებში.

ნოემბერში—5, 6, 7 და 8 ნაწილებში.

დეკემბერში—9, 10, 11 და 12 ნაწილებში.

იანვარი 1917 წ. 4—813—3 პალატის გამგე ა. რეზვიაკოვი.

**ექიმი**

**დ. ვ. ჯავახიშვილი**

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე გარდა კვირისა საღამოს 5-დან 7 საათამდე. გუნიბის ქუჩა № 41

თ—719—27

**ექიმი**

**გ. მ. მუხაძე**

იღებს სადოსტაქრო ავადმყოფთ საღამოს 5—6 საათამდე კვირა დღის გარდა. მისამართი: დიდი მთავრის ქუჩა № 67; ოფიცერთა ეკონომიურ საზ. შენობის პირდაპირ, სახ. სვანიშვილისა. ტელეფონი № 5—77.

თ—3

## თბილისი,

### ღვინობისთვის 7.

## ქუთაისის დარბევის გამო

ქუთაისის ამბები საერთო ყურადღების ცენტრად იქცა. დიდი ხანია საქართველოს არ მოვლინებია ისეთი დიდი უბედურება, როგორიც ეხლა მას თავს დაატყდა ქუთაისის დარბევით. საქართველოს გული გამხეცებულ ჯარისკაცთა სათარეშო ასპარეზად იქცა და ჩვენც გულზე ხელდაკრეფილათ უნდა ვუცქიროთ, თუ როგორ ანიავებენ ჩვენს სიმდიდრეს, მრავალის წლობით ნაშრომს და ნაღვაწს „ცარიცინის მეამბოხენი" და ქუთაისის ნაძირალები. ჩვენ ნაკლებ ყურადღებას მივაქცევდით ამ ამბავს, რომ ეს საშინელი აწიოკება ყოფილიყო საქმე მხოლოდ უცხოეთიდან მოყვანილ ჯარისა, რომელსაც არაფერი საერთო არა აქვთ ადგილობრივ ინტერესებთან და სურთ სადავე თავის გამხეცებულ ინსტიქტთა შესაკავებლად რომ არ აყოლოდენ ანარქიის საერთო ტალღას. მაგრამ მათ გვერდს უმაგრებდენ ზოგიერთი ადგილობრივი მცხოვრებნიც და ქართველი ჯარისკაცნი. რა ამოქმედებდათ მათ? ქართველი ხალხი მიჩვეული არ არის რბევასა, აწიოკებას და სხვისი ქონების გატაცებას. ქართველი გლეხი მტკიცე დამცველია კერძო საკუთრებისა. საქართველოს დემოკრატია მძლედ არის ჩართული რევოლუციაში და ისე მტკიცედ შეკავშირებული, რომ ძნელია მისი აშლა და რუსეთში აძვრენილ სენმა ჩვენში ვერავითარი ნიადაგი ვერა ჰპოვა.

თითქო მიზანს ახლო უნდა ყოფილიყო, რომ რევოლუციის საუკეთესო დამცველი საქართველოში უნდა ყოფილიყო თვით ეს დემოკრატია და მისი ჯარი, რომლის ერთგულება რე-

ვოლუციისადმი თანსწორად დამტკიცდა. მაგრამ რაღაც მიზეზების გამო, რომელნიც ჩვენ ყოველთვის გვაკვირვებდა ამ დემოკრატიის ოფიციალი მესვეურები, რომელთა ხელში მოექცნენ საჭენი მართველობისა ამას სასტიკად წინ აღუდგნენ, იარაღი აჰყარეს ამ დემოკრატიას და ჯარი კი თავის სამშობლოს მოაცილეს. ცარიცინის ჯარის-კაცთ უფრო უკეთ უნდა დაეცვათ საქართველოს და რევოლუციის ინტერესები, ვიდრე მის ღვიძლსა და ერთგულ შვილთ.

მაგრამ არის კიდევ ერთი მიზეზი: უცხოელი ჯარისკაცები აქ საქართველოში სოციალისტურ განათლებას იღებდენ და იწვრთნებოდენ სოციალისტურ იდეების შეთვისებაში, უფრო სწორედ კი ითვისებდენ ორ მცნებას, რომელიც „სოციალისტურ ჟარგონზედ“ ნიშნავს დემოკრატიას და ბურჟუაზიას—მყვლეფელთა და გაყვლეფილთა; ათასი ჯურის პროპაგანდისტები, რომელნიც შესაძლოა თვითაც ვერ არჩევდენ შინაარს თავის სიტყვათა გაორკეცებული ენერგიით უმტკიცებდენ ამ ჯარს, რომ ყოველივე უბედურობისა, სიძვირისა და სურსათის ნაკლებობის მიზეზი არის ბურჟუაზია, რომელსაც შეადგენენ ვაჭრები, რომელნიც მოსისხლე მტრებია დემოკრატიის და რომელთა დასამარება და ჩაქოლვა არის მიზანი ამ დემოკრატიისა. ეს ჯარი, რომელიც, რასაკვირველია, მარტო რუსთაგან არ შესდგება ისე მძლავრათ გაიჟღენთა ამ ვაჭრებისადმი სძულვარებით, მიუხედავათ იმისაც, რომ იგივე დემოკრატიის მეთაურნი, ანგარიშის გასწორებას დამფუძნებელ კრებამდის სდებდენ. მაგრამ თუ კი ამ ვაჭრებშია ბუდე მთელი უბედურებისა, მაშინ რისთვის-ღაა საჭირო დაყოვნება? ამ მძულვარებით მომართული ხალხი ამ დაყოვნების მიზეზს ვერ გაიგებს და რომ არ ისმინა, ამას ქუთაისის მაგალითი საყოველთაოდ ლაღადებს.

## ქართველ მწერალთა კონფერენცია.

დღეს გაიხსნება პირველი კონფერენცია ქართველი მწერლების. ეს პირველი შემთხვევაა, როცა ქართველი მწერლები ერთად იკრიბებიან თავიანთ საპროფესიო საჭიროებაზე მოსალაპარაკებლად; უწინ ამის არც მოთხოვნილება იყო და არც შესაძლებლობა, რომ... ცენზურის ქვეშ, მწერლობა თავის პირდაპირ მოვალეობას ივიწყებდა და ცენზურასთან ბრძოლა თითქმის მიზნათ აქცია, რაც ხელს უწყობდა მწერლობის დაცემას. ეს დამღუპველი გავლენა პოლიტიკის დღესაც ინერციით განაგრძობს გავლენას და ქართველი მწერლები დანაწილებული არიან სხვა და სხვა პოლიტიკა პარტიებში და ის ინტიმიური დამფუძნებელ... შეკავშირებული უნდა ... რიცხვი, რ... სიყვარულით, გათი... განიც... მე ყველა სულელური ... და ვარ თავის თავს პარ... ამბობს დანტე „კომედიის“ მე-18 ქებაში, მაგრამ პარტიის სიძულვილი უფრო აფეთრებდა მის პატრიოტიზმს და არავინ არ აგინებდა ისე ხმა-მაღლა სამშობლოს უბედურებაზე, როგორც ფლორენციიდან განდევნილი დანტე.

ქართველი მწერალი წინააღმდეგ, თავის-თავს ივიწყებს პარტიისთვის; ამის ერთი მიზეზი ისიც არი, რომ ქართველი მწერალი არ გრძნობს თავის თავს პროფესიონალად, ქართველი მწერლები დარიგებულნი არიან სხვა და სხვა დაწესებულებებში, რომელთაც არაფერი კავშირი არ აქვთ მწერლობასთან. ეს იწვევს შემოქმედების დაწევას და ხანდისხან სრულ ატროფიას, რამდენ მწერალს დაუწყია თავის კარიერა მწერლობით და გაუთავებია დამბლა დაცემულ პედაგოგობით.

კონფერენციაზე ალბად გადაიშლება მთელი სურათი დღევანდელი ჩვენი მწერლობის გაჭირვების, იქვე იქნება ლაპარაკი იმაზე, თუ რა ზომებია საჭირო იმისთვის, რომ ამგვარი მდგომარეობა გამოსწორდეს.

უპირველესად კონფერენცია ეცდება დაარსდეს მწერლების კავშირი, სადაც ყველა ლიტერატურულ მიმართულებათა წარმომადგენელნი იქნებიან შესული. ამ კავშირმა უნდა გამონახოს ახალი საშუალება წიგნის გამოცემლობის, ჟურნალის დაარსების, და სხვა.

კონფერენციაზე ადგილი არ ექნება გაყალბებულ პათოსს მეტი იქნება საქმიანი ლაპარაკი და გულწრფელობა, უამისოთ შეუძლებელია გაკეთდეს რამე; საქართველოს დაშლილი სახე მრთელდება... მწერლობა მისი მედროშეა და ალბად შეირჩენს ამ პატივს...

ტ. ტაბიძე.

## ჩხენკელის სიტყვა

### სტენოგრაფიულ ანგარიშიდან

ამხანაგებო, სამწუხაროდ, ავადმყოფობის გამო გუშინ არ შემეძლო მომეცადნა ჩემი ჯერისთვის და სიტყვა მეთქვა. მე მინდოდა რამდენიმე სიტყვა მეთქვა ქართველი ერისა და ყველა მისი პარტიების სახელით, რომლებიც ეროვნულ საკითხში უკვე შეერთდნენ „საპარტიათაშორისო საბჭოს დაარსებით. და აი, რაღა უნდა მეთქვა ქართველი ერის შესახებ? ის მთელი თავის არსებით მზათა ემსახუროს რუსეთის დიდ რევოლუციას. (ტაში).

გუშინ ქართველმა მხედარმა მოშტაცა ის აზრი, რომელიც მე უნდა გამომეთქვა.—ეს სწორედ არის ის, რომ ეროვნულ საკითხს მთელს თავისი სიგრძე-სიგანით, რამდენათაც ეს შესაძლებელია საერთოდ ბურჟუაზიულ საზოგადოებაში, მხოლოდ დამფუძნებელ კრებაზე დავსვამთ განსახილველად (ტაში). ამის შესახებ მე მინდოდა კიდევ დამემატებინა, რომ ამ საკითხის შესახებ ქართველ ერს, მისი პოლიტიკურ პარტიების სახით, უკვე აქვს თავისი აზრი, რომელიც ეროვნულ პროგრამაში გამოითქმება, მთელი ერი გაერთიანებულია და პროგრამა იგი მოითხოვს საქართველოსთვის ეროვნულ ტერიტორიულ თვითმართველობის მიკუთვნებას.

ამხანაგებო, მე ვსთქვი სიტყვა მიკუთვნება, ნამდვილად კი შეიძლებოდა მეთქვა—საქართველოს უფლებების „აღდგენა“. ეს უფლებები მას ჰქონდა, ესენი დაცულია ცნობილ ხელშეკრულებაში, რომელიც საქართველოსა და რუსეთს შუა დაიდო მაშინ, როდესაც 100 ზე მეტი წლის წინად საქართველო რუსეთის სახელმწიფოს შემადგენლობაში შევიდა. მხოლოდ ეს უფლებები გასთელეს, მნიშვნელობა დაუკარგეს, მაშასადამე ეხლა მათ აღდგენაზე გვიხდება ლაპარაკი.

ამხანაგებო, ჩვენს ეროვნულ პროგრამას საფუძვლად ეროვნებათა შორის შეთანხმება უდევს, ე. ი. შეთანხმება ამიერ კავკასიის ეროვნებათა შორის. უფრო მეტს ვიტყვი: როცა კი შემთხვევა მქონდა რუსეთში დემოკრატიის სახელით, ჩვენ ვლაპარაკობდით რევოლუციონურ ინტერნაციონალურ დემოკრატიის სახელით. მაშასადამე, ამა თუ იმ ეროვნების მიერ წამოყენებული პროგრამა მისაღები უნდა იყოს რუსეთის ინტერნაციონალურ რევოლუციონურ დემოკრატიისათვის (ტაში).

ამხანაგებო, გუშინ მოწმე გავხდი ეროვნულ დელეგატების გამოსვლისა და იმისა, თუ როგორ შეხვდა მათ ეს დემოკრატიული თათბირი და უნდა ვსთქვა, რომ ამ პროცესში რუსეთის ტრაღედიის ერთი უმწუხარესი აქტი-სებური რაღაც ვიგრძენი. ვიგრძენი, რომ რუსეთის სხვა და სხვა ეროვნებათა დემოკრატიის შორის არის აზრთა სხვა და სხვაობა, უთანხმოება, ამავე დროსვე, ამხანაგებო, რუსეთი ინტერნაციონალური სახელმწიფოა და, მაშასადამე, იმ საკითხების გადაჭრა, რომლებიც რუსეთის წინაშე წამოყენებულია შეთანხმებულ გამოსვლის გარეშე შეუძლებელია, ამისთვის საჭიროა ყველა ეროვნებათა წარმომადგენლების შეთანხმებული მოქმედება. (ტაში „ვაშას“ ძახილი).

ამხანაგებო, გუშინ მე მოვუსმინე ეროვნებათა წარმომადგენლებს; მე მინდოდა მომესმინა რუსეთის ერის ერთ წარმომადგენლისთვის მაინც. (ხანგრძლივი ტაში და „ვაშას“ ძახილი). მე მინდა, რომ რუსეთის ერის წარმომადგენელმაც გამოსთქვას თავისი აზრი რუსულ ეროვნულ საკითხის გამო. („ტაში, „ვაშას“ ძახილი). ეხლა, ამხანაგებო, ჩვენს წინ სდგას არა მხოლოდ ძველი ეროვნული საკითხი, ეგრედ წოდებულ „ინოროდცების“ შესახები, ეხლა ჩვენს წინ სდგას აგრეთვე რუსეთის ერის საკითხი, საკითხი, რომლისათვისაც აქ შევიკრიბენით, საკითხი საბედისწერო მთელი სახელმწიფოსი და რუსეთის ერისათვის. მე ვიტყოდი, ამხანაგებო, თუ თქვენ, რუსები რამდენადმე მაინც განიცდიდით რუსეთის დაჩაგრულ ერთა მდგომარეობას, იქნებ მაშინ დაფიქრებულიყავით და გეკითხათ, ხომ თქვენც იგივე მდგომარეობა არ გელით გარედან? (ტაში, ხმები: მართალია). პირდაპირ ვიტყვი ჩვენში, ქართველებში, სცემს ეროვნული გრძნობა და ძალიან ძნელია ამ გრძნობის საერთო სახელმწიფოებრივ გრძნობისაგან გარჩევა. (ტაში; „ვაშას“ ძახილი). მე მინდა, რუსებმაც სთქვან, რომ მათი საერთო, სახელმწიფოებრივი გრძნობა ერთობ მცირედით განირჩევა ქართველების ეროვნულ გრძნობისაგან. (ტაში).

მაშ, ამხანაგებო, რაშია ჩვენი ცხოვრების ტრაღედია, აწმყოს ტრაღედია? თქვენ ლაპარაკობდით სხვა და სხვა გეგმებზე; ეკონომიურზე, სოციალურზე, პოლიტიკურზე, თქვენ გელაპარაკებიან მთავრობის შესახებ სხვადასხვა ნაწილებისაგან შემდგარ მთავრობაზე და სხვა, მაგრამ მაინც, რაც უმთავრესია ის, თითქოს, აკლია, უმთავრესი ეს რუსეთისათვის წუხილია, ეს ეროვნული თვით გრძნობაა, თითქოს ამის არსებობას ვერ ვამჩნევთ. (ტაში). ჩვენ გვინდა, რაღაც უნდა დაგვიჯდეს, რევოლუციის გამარჯვებას მივაღწიოთ. ჩვენ გვსურს, რომ რაღაც უნდა დაგვიჯდეს, ჩვენთვის მისაღები ზავი მოვიპოვოთ, ზავი დემოკრატიული, რომელიც რუსეთის რევოლუციამ თავის დროშაზე დააწერა, მაგრამ ყველა ამას სახელმწიფოს დაცვა უნდა ედვას საფუძვლად. (ტაში).

არავითარ პროგრამისა, ამხანაგებო, მე არ მეშინია, რაც უნდა უკიდურესი იყოს ის,—საერთოდ ჩვენ უკიდურესები ვართ,—მაგრამ, როდესაც ბოლშევიკების წინადადებას ან პროგრამას ვკითხულობ, მე მასში სახელმწიფოს დაცვას ვერ ვხედავ. (ხანგრძლივი ტაში, ხმები: „მართალია“. ხმაურობა).

სამწუხაროდ საშვალება არა მაქვს განვაგრძო ჩემი სიტყვა, ამისთვის დრო არა მაქვს. (ხმები: „გთხოვთ“). მე მივიყვებოდით წარსულიდან. ჩვენ რევოლუციამდე თითქმის 3 წელი ვებრძოდით ერთი მეორეს, ამ 3 წლის განმავლობაში ვკამათობდით, საჭიროა დავიცვათ სამშობლო თუ არა; იყვნენ ობორონცები, ანტიობორონცები, პორაზითი ობორონცები და სხვა და სხვა. სიტყვიერი კამათი გვქონდა გამართული. მე სათათბიროს სოც.-დემ. ფრაქციის წევრი თავ-დაცვის წინააღმდეგი ვიყავი, თავ-დაცვისათვის, ე. ი. სახელმწიფოს ძველი რეჟიმისაგან ვიცავდი და ვამბობდი: თუ ეს რეჟიმი აღარ იქნება, და მიწასთან გავასწორებთ მას, ჩვენ სწორედ ამით დავიცავთ სახელმწიფოს. აქ ხომ ბევრს ლაპარაკობენ კადეტებზე, მე შემთხვევა მქონია უკეთესის პირობებში მელაპარაკნა, ე. ი. პირადათ კადეტებთან მაშინ, როცა ჩვენ მათ წინააღმდეგ გამოვდიოდით,—საერთოდ ჩვენ მუდამ მათ წინააღმდეგ გამოვდიოდით. მე არ მახსოვს არც ერთი ჩემი გამოსვლა, რომ წინააღმდეგ არ ყოფილიყოს მიმართული,—ისინი ადგილებიდან გვეკითხებოდნენ: აბა, როგორი საშუალებით გეწადიათ სახელმწიფოს გადარჩენა? ჩვენც ვუპასუხებდით: „რევოლუციით“. მე ღრმადა მწამდა, რომ სწორედ რევოლუცია გადაარჩენდა რუსეთს. ამხანაგებო, აი უკვე 6 თვე გადის, რაც რევოლუცია დაიწყო და მერყევა რწმენა: გადაარჩენს კი რევოლუცია რუსეთს?

ჩვენ გვეგონა, რომ რევოლუცია არა მარტო რუსეთს, არამედ მთელს კაცობრიობას გაანთავისუფლებდა და მე ბედნიერად ვიგრძენ თავი, როდესაც მძიმე ავადმყოფობის შემდეგ მარტის 14 მარსის კორპუსში პეტროგრადის მუშ. და ჯარ. საბჭოს სხდომას დავესწარი, სადაც მსოფლიოს ყველა ხალხებისადმი პირველი დეკლარაცია მიიღეს. რუსეთის რევოლუციონურ ხალხმა უთხრა მთელს ქვეყანას: მე თავისუფალი ვარ, მე მზად ვარ ჩამოვაგდო ზავი, მაგრამ კაცობრიობისათვის მისაღები ზავი და, მაშასადამე, აქედან რუსეთისათვის. მაგრამ ზავისადმი მისწრაფებასთან ერთად მე მედგრად ვდგევარ ჩემს ადგილზე და ქვეყანას ვიცავ. აი რა ითქვა მაშინ. ამ სიტყვებს ეხლაც აქვს ძალა და მთელი თავისი მნიშვნელობა. მაგრამ ამ სიტყვების იქით კი საქმეები არა ჩანს: ფრონტზე უფრო სუსტნი ვხდებით, ვიდრე წინად, სახელმწიფოში რღვევა თანდათან უფრო ფართოვდება. საერთაშორისო ასპარეზზე ჩვენს მნიშვნელობას და ფასს ვკარგავთ. დღეს, როდესაც მე ეკონომიურ ჯგუფის წარმომადგენლებს ვუსმენდი, შიშმა ამიტანა. შევძლებთ კი ჩვენს წინ წამოყენებულ მიზნების სიმაღლეზე დგომას,—ეს საკითხი, რომელიც ჩემთვის წინად საკითხს არ წარმოადგენდა, ეხლა საბედისწერო კითხვაა. მე, ამხანაგებო, მგონია, თუ ჩვენ გვაქვს ის გრძნობა, რომელზედაც მე ვლაპარაკობდი: ეროვნული გრძნობა თვითდაცვისა, თუ ჩვენში არის წუხილი, თუ შესაძლებელია რუსეთმა ჩვენში აღფრთოვანება გამოიწვიოს, მაშინ, ვფიქრობ, შევძლებთ ყველა დაბრკოლებათა გადალახვას. თუ ჩვენ ეს გრძნობა არა გვაქვს, არა გვაქვს ეს მისწრაფება, ეს მომქმედი ნებისყოფა, —მაშინ ყველა ჩვენი სურვილები, ყველა კომბინაციები და ახალ-ახალი მთავრობის შედგენა, როგორიც გინდა არ იყოს, მე ვიტყვი, მნიშვნელობას სრულიად იქნებიან მოკლებულნი. (ტაში).

ჩემი გამოსვლის გათავებისას ამხანაგებო ვიტყვი: თუ ამ უდიდეს ბრძოლაში, მსოფლიო ბრძოლაში, თვით სახელმწიფოს შიგნით, სადაც კონტრ-რევოლუციურმა ძალებმა თავი წამოჰყვეს, ჩვენ მაინცა და მაინც უნდა დავმარცხდეთ, მე ქართველი ერის სახელით გაგიცხადებთ: ნურავითარ სეპარატიულ გამოსვლას ქართველებისაგან ნუ მოელით და საერთოდ ამიერ კავკასიის ერებისაგან, მაგრამ გახსოვდეთ კი: ჩვენ, შესაძლებელია, მაშინ გამოვიდეთ სეპარატიულად, როდესაც ჩვენი დამარცხება აუცილებელი იქნება. თუ ჩვენ დამარცხება გვმართებს, შესაძლებელია ასეთი კითხვა დავაყენოთ: იქნებ უმჯობესიც იყოს, რომ რუსეთის დიდი რევოლუციისთვის ნამდვილ თავრიზად გარდავიქცეთ? (ხანგრძლივი ტაში).

# ომი და ზავი

## დეპეშები

### აღმოსავლეთის ფრონტი.

**რუსეთის ბანაკის ცნობა.**

**პეტროგრადი.** ღვინობ. 5. ოფიციალი. **ჩრდილოეთის, დასავლეთის, სამხრეთ-დასავლეთის და რუმინეთის ფრონტებზე.** სროლა და მზვერავთა მოქმედებაა.

**მფრინავთა მოქმედება.** ღვინობისთვის 3. შუაღამისას ქალაქ პერნოვზე მტრის „ცეპელინ“-მა გადაიარა. ნასროლ ყუმბარებით 6 სახლია დანგრეული.

**კავკასიის ფრონტი.** არსებითი არა მომხდარა რა.

**მთავარ საზღვაო შტაბის ცნობა.**

**პეტროგრადი.** ღვინობ. 5. უკანასკნელ დღე და ღამეში გერმანელებმა კუნძულ ეზელის დაპყრობა დაამთავრეს და ღამე ირბენის სრუტეში შემოიჭრნენ. ღვინობისთვის 4 გათენებისას ჩვენ სადარაჯო საზღვაო რაზმს შეხვდა მტრის ფლოტის მოწინავე ძალები და მოონზუნდისაკენ დაახევინეს. აქედან რიგის ყურეში გამოვიდნენ ჩვენი ჯავშნიანი გემები: „გრაჟდანინი“, „სლავა“, კრეისერი „ბაიანი“ ნაღმოსნებით და მტრის ავანგარდი განდევნეს. მალე მტრის დიდი ფლოტი გამოჩნდა, რომელშიაც „გროსსერ კურფიურსტ“-ის ტიპის 2 დრედნოუტი იყო. შორს მსროლელი ზარბაზნების შემწეობით გერმანელებმა ჩვენი გემები მძიმედ დააზიანეს და მოონზუნდისაკენ დაახევინეს. ჯავშნოსანი „სლავა“ ჩაიძირა, მეზღვაურნი გადარჩნენ. ჩვენი სანაპიროს ბატარეები მტრის ნაღმოსნებს ჯერ ნებას არ აძლევდნენ ჩვენს გემებს მოახლოვებოდნენ, მაგრამ შემდეგ მტრის დრედნოუტებმა სულ მოკლე ხანში მიწასთან გაასწორეს ეს ბატარეები. ჩვენი ფლოტის მეორე ნაწილი წინააღმდეგობას უწევდა მოონზუნდის ჩრდილოეთის მხრით მოწოლილ მტრის საზღვაო ძალებს. ამავე დროს აფარებული მტრის მფრინავები დიდძალ ყუმბარებს უშენდნენ ჩვენს გემებს და ჩვენ ხელში მყოფ კუნძ. მოონის ნავთსადგურებს. ჩვენმა მფრინავებმა ლეიტენანტმა საფონოვმა მტრის 1 აპარატი ჩამოაგდო. კუნძ. დაგოს სამხრეთ-დასავლეთის ნაწილში გერმანელთა მიერ გადმოსხმული მცირე დესანტი სროლით განვდევნეთ. ამ ადგილს მალე „კაიზერის“ ტიპის დრედნოუტმა სასტიკი სროლა აუტეხა ოეზელსა და დაგოსთან მტრის დიდი გემები აღმოვაჩინეთ, ნაღმოსნები გარსშემორტყმული. ამ მიდამოებში შენიშნულია მტრის 60 გემამდე.

### ბრძოლა ბალტიის ზღვაზე

**ვერდერევსკის აზრი**

**პეტროგრადი.** ღვინობ. 5. საზღვაო მინისტრმა ვერდერევსკიმ ჟურნალისტებს უთხრა: ჩვენი ფლოტი მტრის ფლოტს შეეგება, ეს დიდი მამაცობაა, რადგანაც „კენიგ“-ის ტიპის თითო გემი მთელ ჩვენ საზღვაო რაზმზე ძლიერია. მოონზუნდში შემოსვლისთანავე გერმანელებმა მძიმე ზარბაზნების მკაცრი სროლა აუტეხეს მოონისა და ვერდერის ბატარეებს. დაზიანებული „სლავა“ ისე ღრმად ჩაჯდა წყალში, რომ თხელ სრუტეში ვეღარ გავიდა და ამიტომ ჩავღუპეთ, რითაც გერმანელებს გზა დაუკეტეთ.

**კაპნისტის ნათქვამი**

**პეტროგრადი.** ღვინობ. 5. მთავარ საზღვაო შტაბის უფროსმა კაპნისტმა ჟურნალისტებს განუცხადა: გერმანელებმა კუნძული ოეზელი დღე და ღამის განმავლობაში დაიპყრეს. გერმანელებს აზრად ჰქონიათ ჯარი ოეზელიდან დაგოზე გადაეყვანათ. ალბად საერთოდ გერმანელების დესანტი დიდი არ არის. ეს გარემოება მტერს უადვილებდა მოქმედებას, რადგანაც მცირე დესანტს დიდი სამხედრო ძალები იცავდნენ. ამ შემთხვევაში ჩვენი საზღვაო რაზმები ვერას გააწყობდნენ. უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვენი მთავარი ფლოტი ფინის ყურეს იცავდა. წყალქვეშა ნავები დიდი ყინვების გამო ვერ იმოქმედებდა. ამას გარდა მტრის გემებმა საგანგებო ბადეების საფარები გააკეთეს. მეზღვაურნი მედგრად იბრძოდნენ.

### ხიდები დვინაზე

**ბანაკი.** ღვინ. 3. გერმანელები ცდილობდნენ დვინაზე რკინის გზის ხიდის სამხრეთით ხიდები გაედოთ. გადებულ ხიდის ნაწილი ჩვენმა არტილერიამ გაანადგურა.

### ნახევარი კუნძული სვორბე

**ბანაკი.** ღვინ. 3. მცოდნე საზღვაო წრეებში ხმებია, რომ გერმანელები თავგამოდებით ცდილობენ კუნძულ ეზელის სამხრეთით მდებარე ნახევარ კუნძულ სვორბეს დაპყრობას. აქ იმყოფებიან ცერელის ბატარეები და ირბენის სრუტეს იცავენ. საზღვაო ოპერაციებმა უნაყოფოდ ჩაიარეს. ახლა მტერმა შემოტევა ხმელეთზე დაიწყო. ნახევარ კუნძულის მეციხოვნენი დიდ წინააღმდეგობას უწევენ. მეციხოვნეთა მდგომარეობა სერიოზულია. მტერმა თუ მეციხოვნენი დასძლია, ცერელის ბატარეებს იგდებს ხელში და რიგის ყურის გზას წინ მხოლოდ ჩვენი ფრონტი და გადაეღობება.

### დეპუტატთა საბჭოს სხდომა

**პეტროგრადი.** ღვინ. 3. დღეს დეპუტატთა საბჭოს ცენტრალ კომიტეტმა ფარულ სხდომაზე ფრონტის მდგომარეობაზე ითათბირა. ილაპარაკეს აგრეთვე სამხედრო და საზღვაო მინისტრებმა, ადგილობრივ კომიტეტების წარმომადგენლებმა და ფრონტის კომისრებმა.

### ყაზახთა სამხედრო წრე.

**ნოვოჩერკასკი.** ენკენისთვის 30. ყაზახთა ჯარის სამხედრო წრე. დუტოვი და ესაული ნოგაევი სამხედრო წრემ მიიწვია ჩვენების ჩამოსართმევად. წრე უარყოფით შეხვდა კონტრ-რევოლუციურ გამოსვლებს და დაადგინა: ყაზახთა ნაწილებში პროპაგანდის მოსასპობად დაიგზავნოს დელეგატები, მოეწყოს საუბრები და მეამბოხენი გამოირიცხნენ ყაზახთა წოდებიდან. სამხედრო წრის აზრით, რუსეთმა ომი მოკავშირეებთან ერთად სრულ გამარჯვებამდის უნდა მიიყვანოს.

### დასავლეთის ფრონტი.

**საფრანგეთის ბანაკის ცნობა.**

**პარიზი.** ღვინ. 4. ოფიციალი. მუვენკურის სამხრეთ-აღმოსავლეთით მტრის თავდასხმა მოვიგერიეთ. მტერი მოვიგერიეთ აგრეთვე ლემოშის ტყის ჩრდილოეთით. ამ რაიონში გათენებისას საარტილერიო ბრძოლამ ცხარე ხასიათი მიიღო. მაასის კალთებში ჩვენ გერმანელთა სანგრები დავიპყარით.

**მფრინავთა მოქმედება.** გერმანელთა მფრინავებმა ნანსის ცხარე სროლა აუტეხეს. მოკლულია 10 მოქალაქე, დაჭრილი 40. ღვინობისთვის 4-ის განმავლობაში ჩამოვაგდეთ გერმანელთა 5 ჰაეროპლანი, დავაზიანეთ 20. ჩვენმა მფრინავებმა სროლა აუტეხეს პოლკაპელის სამხედრო შენობებს, ტონვილეს რკინის გზის სადგურს, მეზერლემენტოს, ვოლპის, გეგონდანჯისა და რომაბახის ქარხნებს.

**ინგლისის ბანაკის ცნობა**

**რომი.** ღვინობისთვის 3. ტრენტინის ფრონტზე საარტილერიო ცეცხლია. დინცესის ჩრდილოეთით, ლედროს ტბასთან მზვერავთა შეტაკება მოხდა. მტერი მოვიგერიეთ. კარსოზე და იულიუსის ალპების ფრონტზე პარალბიდან მოყოლებული ტომბონამდის ცალ-ცალკე საარტილერიო ბრძოლა იყო. ვენეციის ზღვაზე საარტილერიო სროლაა. კარსოზე ჩვეულებრივ განუწყვეტელი ცეცხლია.

### ინგლისელთა ჯავშნოსანის დაღუპვა

**ლონდონი.** ღვინობისთვის 3. საადმირალო იუწყება: ნაღმის მკრეფი „ბეფონია“ დაიღუპა. დაიღუპნენ ზედ მყოფნიც. მავნელი ჯავშნოსანი „შამპანი“-ი წყალქვეშამ ჩასძირა; დაიღუპა 5 ოფიცერი და 51 მეზღვაური.

### მუდმივი სამხედრო საბჭო

**პარიზი.** ღვინობ. 4. „მატენ“-მა ამსტერდამიდან ცნობა მიიღო, რომ ვილჰელმმა მთავარ ბანაკში მოიწვია სამხედრო საბჭო, რომელიც მუდმივად იმოქმედებს. საბჭოში სხვათა შორის თ-დი ბიულოვი და ბეტმან ჰოლვეგიც შედიან.

### ლლოიდ ჯორჯის ბრალდება

**ლონდონი.** ღვინობისთ. 3. გაირჩა ლლოიდ-ჯორჯის საქმე. მის შესახებ გაზეთები სწერდნენ, რომ ლონდონზე საჰაერო თავდასხმის დროს ის ლონდონიდან საკუთარ მამულში გაიქცა. პრემიერ მინისტრი მართალი გამოდგა. გაზეთებს ჯარიმა მიუსაჯეს.

### დეპუტატთა პალატა და სასურსათო საკითხი

**პარიზი.** ენკენ. 29. დეპუტატთა პალატამ დაასრულა კამათი სასურსათო საკითხზე. მინისტრმა აღნიშნა, რომ მთავარი ყურადღება პურის შემოზიდვას უნდა მიექცეს. პურის 250 გრამამდე დაწევას შეძლების დაგვარად გადასდებენ.

### გერმანელ სოც.-დემოკრატების ყრილობა

**კოპენჰაგენი.** ღვინობ. 2. გაზეთ „ბერლინსკე-ტიდენდე“-ს ბერლინიდან ატყობინებენ: კვირას ვიურცბურგში სოციალ-დემოკრატების ყრილობა დაიწყო. მათ პროგრამაში, სხვათა შორის სამხედრო სეხზე უარის გამოცხადება და დამოუკიდებლებთან შერიგება უწერიათ. დელეგატების უმრავლესობა ამ უკანასკნელ წინადადებას სკეპტიკურად უყურებს. ყრილობის დაწყებამდე გრანდიოზული დემონსტრაცია გაიმართა. მოითხოვდნენ კომპრომისულ ზავის ჩამოგდებას. გამოირკვა აგრეთვე, რომ უარყოფით უყურებდნენ მიხაელისის, გელფერიხის და ფონკაპელეს უკანასკნელ გამოსვლებს.

### ფრანგული პრესსა.

**პარიზი.** ღვინობისთვის 3. „ჟურნალ დე დება“ გამოსთქვამს სურვილს, რომ დროებითმა მთავრობამ ლამაზი სიტყვები საქმედ აქციოს. „ტანი“ წინააღმდეგია დროებით მთავრობის რესპუბლიკის წინაშე პასუხის მგებლობისა. თუ ეს მოხდა, საზღვარ-გარედ დროებითი მთავრობა ავტორიტეტსა და გავლენას დაჰკარგავსო. პარიზის მომავალ კონფერენციის შესახებ გაზეთი ამბობს, მოკავშირენი თავს დაჰკარგავენ, თუ რუსეთის დემოკრატია ომის მიზნებს გულახდილად აღიარებს. რუსეთის მთავრობამ თავის პროგრამას განსაზღვრულებლად საჭიროა ჯარში დისციპლინის აღდგენა და სახელმწიფოს დაწყნარებაო. „ინფორმასიონი“ ხაზგასმით აღნიშნავს იმ მნიშვნელობას, რომელსაც საფრანგეთის საზოგადო აზრი აძლევს კონოვალოვის და ტერეშჩენკოვის შესვლას სამინისტროში, ესენი შესძლებენ სახელმწიფოს ეკონომიურ და ფინანსიურ მდგომარეობის აღდგენასო.

### ზავის გარშემო

**ნაბოკოვის სიტყვა**

**ედინ-ბურგი.** ღვინობისთვის 3. რუსეთის ინგლისელ დესპანს ედინბურგში საუზმე გაუმართეს, რომელზედაც ლორდმა პროვოსტმა, სხვათა შორის, სთქვა, რუსეთს პატივისცემით ვეპყრობით, რომ მსხვერპლს დაუზარებლად იღებსო. ამაზე ნაბოკოვმა უპასუხა: რუსეთს ეხლა თავდაპირველად ინგლისის მეგობრობა სჭირია; რუსეთმა ითამაშა უკვე თავისი როლი და კიდევაც ითამაშებსო. ნაბოკოვმა რუსეთ-ჰოლანდიის საზოგადოების კრებაზე სთქვა, რუსები სთხოვენ ინგლისს, იწამონ, რომ რუსის ხალხის გენიოსობა შესძლებს მოიშოროს პოლიტიკური მაჯლაჯუნაო. გლაზგოში ნაბოკოვმა თავის სიტყვაში ის აზრი გაატარა, რომ ინგლისის საწინააღმდეგო აგიტაცია, რომელსაც გერმანელები ეწევიან, რუსეთში ნიადაგს ვერ მოიპოვებს, რუსებს საამისო საღი გონება მოეპოვებათ, რუსის ხალხი შესძლებს დააფასოს ინგლისის ღვაწლი და სურვილი რუსეთის რესპუბლიკის გადარჩენისა და გერმანეთის მონობისაგან განთავისუფლებისა.

### ომის მიზნების გადაშინჯვა

**კოპენჰაგენი.** ღვინობისთვის 4. „კორესპონდენც ბიურო“ იტყობინება, რომ ცენტრალ სახელმწიფოების მიერ ზავის სასარგებლოდ გადადგმული ნაბიჯები ასკვიტისა და ლლოიდ ჯორჯის განცხადების შემდეგ გათავებულად უნდა ჩაითვალოს. საზავო წინადადების უარყოფის შემდეგ ცენტრალ სახელმწიფოებმა ომის მიზნები უნდა გადაშინჯონ.

### გერმანელი ს.-დემ. და ზავი

**კოპენჰაგენი.** ღვინ. 3. ვიურცბურგის ს.-დემ. ყრილობის თავმჯდომარემ თავის სიტყვაში სხვათა შორის სთქვა: ყველას სწყურია ზავი, მაგრამ ჩვენთვის აშკარაა, თუ რა ძნელია ზავისთვის სასარგებლოდ მუშაობის წარმოება, რადგანაც გერმანეთის ყოველი მოთხოვნა ხარჯების ანაზღაურების შესახებ მის წინააღმდეგ კოალიციას შექმნის მუდამ. საჭიროა ბოლო მოეღოს დაჯავშნულ მუშტის პოლიტიკას.

# რუსეთის რესპუბლიკა

## დეპეშები

### † როჟდესტვენსკი.

**პეტროგრადი.** ღვინობისთვის 3. ღვინობისთვის 3-ს გარდაიცვალა პეტროგრადის უნივერსიტეტის პროფესორი (სღვთისმეტყველო კათედრა ეკავა) დეკანოზი როჟდესტვენსკი.

### კარტოფილი.

**პეტროგრადი.** ღვინობისთვის 4. სასურსათო მინისტრმა კარტოფილზე მოსკოვისთვის 3 მან. 30 კ. დააწესა ფუთზე, სხვა გუბერნიებისთვის კი 1 მ. 90 კაპ.

### დეპუტატთა საბჭო და ანარქია.

**პეტროგრადი.** ღვინობისთვის 4. დეპუტატთა საბჭოს ცენტრალურ აღმასრულებელმა კომიტეტმა დარბევების შესახებ რეზოლუცია გამოიტანა, რომელშიაც წინადადება ეძლევა პროვინციის საბჭოებს ენერგიული ზომები მიიღონ დარბევების წინააღმდეგ, ვინაიდან მათ სახელმწიფო ანარქიისაკენ მიჰყავთ. ყოველივე დარბევა დასაწყისშივე უნდა მოისპოს შეიარაღებული ძალის მოხმარებითაც. დარბევის აგიტაციასთან იდეურ ბრძოლის საწარმოებლად მცხოვრებთა დასაცავად რეზოლუცია წინადადებას იძლევა დაარსდეს საგანგებო კომისიები, რომლებშიაც წევრებად შევლენ სამხედრო და სამოქალაქო მთავრობის წარმომადგენლები.

# ანარქია

### აგრარული უწესოება

**მოსკოვი.** ღვინობისთვის 3. შტაბის პოლიტიკურ განყოფილებას რიაზანის გუბერნიიდან სააგრარო უწესოების შესახებ შემაძრწუნებელი ცნობები მოსდის. რანენბურგის მაზრის კომისარი იუწყება: ბრბო ღვინის საწყობის განადგურებას ცდილობსო. უწესოების ჩასაქრობად გაგზავნილი რაზმი ღვინობისთვის 2-ს მივიდა.

### უსურსათობის გამო

**მოსკოვი.** ღვინობისთვის 3. კლინიდან იტყობინებიან: სასურსათო კრიზისის ნიადაგზე მოქალაქეებმა სასურსათო გამგეობის და ადგილობრივ კოოპერატივის თავმჯდომარე შეიპყრესო.

### ტუსაღების გაქცევა

**სარატოვი.** ღვინ. 3. ციხიდან გაქცეულ ტუსაღთა ერთი ნაწილი ისევ დაიჭირეს. მოკლულია ერთი ტუსაღი და შემთხვევით ერთი დედაკაცი. 2 ტუსაღი მძიმედაა დაჭრილი.

# დამფუძნებელ კრების სამზადისი

### გლეხთა კანდიდატების სიები.

**პეტროგრადი.** ღვინობისთვის 3. სრულიად რუსეთის გლეხთა კავშირის მთავარი კომიტეტი თავის წევრებს ცალკე კანდიდატთა სიების შესადგენად მოუწოდებს. ცალკე სიებს შეადგენენ იქ სადაც მათ კავშირის საგუბერნიო და სამაზრო ორგანიზაციები არსებობენ. დანარჩენ ადგილებში მოწოდების თანახმად, გლეხები კოოპერატივებთან და სოციალისტურ პარტიებთან გამოვლენ.

### საარჩევნო კომპანია

**პეტროგრადი.** ღვინ. 4. პეტროგრადის დეპეშათა სააგენტოს დამფუძნებელ კრების საარჩევნო კამპანიის შესახებ მისდის ცნობები. ვენდენში საკუთარ სიებით გამოდიან ლატიშელთა სოციალდემოკრატები (ბოლშევიკები) და გლეხთა კავშირი. ვიტებსკის გუბერნიაში პარტიების გარდა საკუთარ სიით სამღვდელოება გამოდის. ვიატკის გუბერნიაში ბლოკით შეიკვრნენ გლეხები და სოციალისტ-რევოლიუციონერები და მერის მხრივ უკრაინელები, მაჰმადიანები, პოლონელები, ლატიშები და ლიტოველები. ეკატერინბურგში ღვინობისთვის 4-სათვის მოწვეულია საგუბერნიო ყრილობა ყველა წოდების სტაროობრიადელებისა. განზრახული აქვთ საერთო სიის შედგენა. კურსკის გუბერნიაში გლეხები ბლოკით შეეკრნენ სოციალისტ-რევოლიუციონერებს. იმედი აქვთ რომ 13 ადგილიდან ათი მათ დარჩებათ. კანდიდატებში რუსანოვიც არის; ბოლშევიკებს იმედი აქვთ, ერთს გაიყვანენ. მოგილევის გუბერნიაში—სოციალ-დემოკრატების და ბუნდის ბლოკმა სიაში პირველად რესპუბლიკის საბჭოს წევრი გოლდმანი (ლიბერი) მოათავსა. ნოვგოროდის გუბერნიაში სოციალისტ-რევოლიუციონერები და გლეხები ერთად გამოდიან. კადეტებმა მოწოდებით მიმართეს გლეხებს, ბევრ ადგილს ჰპირდებიან. სოციალ-დემოკრატებმა კანდიდატები უკვე დაასახელეს. სამღვდელოება და მრევლის ერთი წრე საკუთარ სიას ადგენს. პომოროლები, ბელოკრივინცები და სპასოვცები საკუთარ სიებით გამოდიან. ზოგან გლეხები კარგის თვალით არ უყურებენ არჩევნებს. პერმის გუბ. მიწის მესაკუთრეთა ყრილობამ კადეტებთან გამოსვლა გადასწყვიტა.

შესდგა რადიკალ-დემოკრატიულ პარტიის განყოფილება და საკუთარ სიას ადგენენ. პსკოვში სოციალისტ-რევოლიუციონერთა სამხედრო კონფერენციამ დაადგინა ბლოკით არვის შეეკრას. სარატოვის გუბერნიაში სოციალისტ-რევოლიუციონერები ჩერნოვსა და რაკიტნიკოვს ასახელებენ. „ედინსტვო“ ბლოკით ეკვრება მენშევიკებს და ხალხის თავისუფლების პარტიას. თავრიდის გუბერნიაში კადეტები ასახელებენ: პეტრუნკევიჩს, პირველ სათათბიროს წევრს ობოლენსკის, სოციალ-დემოკრატებს გაჰყავთ წერეთელი და მარტოვი. ცარიცინში გლეხთა ყრილობამ ორი სოციალისტ-რევოლიუციონერი დაასახელა. ხერსონის საგუბერნიო ყრილობაზე სოციალ-დემოკრატები უკრაინის სოციალისტ-რევოლიუციონერებსა და ებრაელთა სოციალისტურ პარტიასთან შეთანხმდნენ.

კანდიდატთა რიცხვში მოჰხვდნენ სპირიდონოვი, იურიცინი და რამდენიმე მუშა. კოოპერატივების პოზიციის შესახებ იტყობინებიან: ვიატკის გუბერნიაში გადასწყვიტეს მოსკოვის ყრილობაზე გარდაწყვეტილებას დაუპირდაპირონ [illegible], ნიჟ-გოროდის გუბერნიაში დამოუკიდებლივ გამოდიან. სარატოვის გუბერნიაში წინააღმდეგნი არიან დამოუკიდებელ გამოსვლაზე. ხარკოვში სამხრეთ რუსეთის მომხმარებელ საზოგადოებათა კოოპერატიული ამხანაგობა, რომელშიაც 700 საზოგადოება შედის, დამოუკიდებელ გამოსვლაზე წინააღმდეგია. კიევში არჩევნების დღეს ექსცესებისა ეშინიათ, საოლქო კომისია სამხედრო დაცვაზე შუამდგომლობს.

# ეროვნული საკითხი

### კოსტიუშკოს პანაშვიდი.

**ლონდონი.** ღვინობისთვის 3. კოსტიუშკოს გარდაცვალებიდან 100 წლის შესრულების გამო ინგლისის პოლონელთა ახალშენის წარმომადგენელთა თანადასწრებით პოლონელ ჯარის კაცთათვის გადახდილ იქმნა საზეიმო პანაშვიდი.

# ეკონომიური ცხოვრება

### მრეწველობის გაძლიერება

**პეტროგრადი.** ღვინობისთვის 3. დარიევო—დონის, შავი ზღვის ცემენტის, სუხეთის ოქროს მრეწველთა, ვერცხლის წყლის და ერბახის ქვანახშირის ამხანაგობებს ძირითადი თანხის გადიდების ნება მისცეს.

### კერძო წარმოების დაცვა.

**პეტროგრადი.** ღვინობ. 4, დრ. მთავრობამ დაადგინა, რომ კერძო წარმოების ან სხვა ქონების დასაცავად პატრონმა შუამდგომლობა აღძრა საგანგებო ყარაულების დაწესების შესახებ, ფულება მიეცეთ სამოქალაქო და საეროზო დაწესებულებებს წარმოების ხარჯზე მილიცია გააძლიერონ.

# უკანასკნელი დეპეშები

„ვეჩერნეე ვრემია“ სწერს: თუ გერმანელები დესანტს რიგის ყურის ხანაპიროებზე გადმოსხამენ, უპირველეს ყოვლისა, რეველზე გამოილაშქრებენო, ხოლო თუ რიგის ყურის ხანაპიროებზე მათ გამაგრება შეძლეს, მაშინ საზღვაო ოპერაციით პეტროგრადისკენ გაემართებიან.

—

ჰელსინგფორსიდან დაბრუნებულ, იურიდიულ კომისიის წევრს ბარონ ნოლდეს განუცხადებია: ძნელი იქნება შეთანხმება ფინლიანდიასა და რუსეთის შორის მომხდარ უთანხმოებათა ჰააგის ტრიბუნალით განხილვაზე და მშვიდობიანობის დროს რუსის ჯარის ფინლიანდიაში ყოფნაზე.

—

პარიზის კონფერენციაზე განიხილავენ ომის მიზეზებსა და ზავის პირობებს და მოკავშირეთა შორის დადებულ ხელშეკრულობებს გადასინჯავენ.

—

თუ ბალტიის ზღვაზე მდგომარეობა გამწვავდა მთავრობა და რესპუბლიკის საბჭო მოსკოვში გადავა.

—

გლეხთა საბჭომ დეპუტატთა საბჭოების ყრილობის მოწვევა უდროვოდ სცნო.

ადმირალმა ნემიტცმა განაცხადა, რომ რიგის ადება და კუნძულ ეზელზე დესანტის გადმოსხმა პეტროგრადის წინააღმდეგ არის მიმართული. მისი აზრით მოსალოდნელია რეველის აღება და გამოლაშქრება ნარვაზე, საიდანაც პეტროგრადამდე 8 დღის სავალია.

—

ხარკოვში ჯარისკაცებმა ებრაელ ცხედარის პროცესია შეაჩერეს და კუბოს ახდა მოითხოვეს. ჯარისკაცებს ეგონათ, რომ კუბოში ფეხსაცმელი იყო, მაგრამ დაინახეს თუ არა ცხედარი მაშინვე დაიშალნენ.

# ქრონიკა

## თბილისი

◆ **ირაკლი წერეთლისა და აკაკი ჩხენკელის ჩამოსვლა.** ღვინობისთვის 5-ს, საღამოს 9 საათზე, პეტროგრადიდან თბილისს ჩამოვიდნენ საქართველოს სამხედრო გზით ირაკლი წერეთელი და აკაკი ჩხენკელი. საბურთალოზე მათ მიეგებნენ ამხანაგები და დიდძალი ხალხი სარევოლიუციო ბაირაღებით. იქ მას სიტყვით მიმართეს ვლ. მგელაძემ და ბახტაძემ. ი. წერეთელმა ქართულად და რუსულად უპასუხა. შემდეგში წარმოსთქვა სიტყვა ქართულად. იქიდან ხალხი სასახლისკენ დაიძრა. სასახლესთან დიდძალმა ხალხმა მოიყარა თავი, რომელსაც აივნიდან სიტყვით მიმართა წერეთელმა. შემდეგ წერეთელი შევიდა თეთრ დარბაზში, საცა შეკრებილი იყო საოლქო სამხედრო ცენტრი, სადაც ვრცელი საპროგრამო სიტყვა წარმოსთქვა.

◆ **ქართულ ეროვნულ საპედაგოგო საბჭომ** ღვინობისთვის 5-ს დაამტკიცა სარეკომენდაციო კომისიის მიერ მასწავლებლობის თანამდებობაზე წარდგენილი 15 კანდიდატი. შემდეგ საბჭომ დაადგინა აირჩიოს სარევიზიო კომისიები, რომელთაც დაევალებათ თვალყური ადევნონ ქართულ ენის სწავლებას გაეროვნებულ საშუალო სასწავლებლებში და დრო გამოშვებით რევიზია გაუკეთონ. საბჭომ განიხილა და არსებითად მოიწონა კ. ფოცხვერაშვილის განცხადება, რომ მოეწყოს მომღერალთა ეროვნული გუნდი, რომელშიაც შევლენ ყველა სასწავლებლებიდან სიმღერის ნიჭის მქონე მოწაფენი.

◆ **ქართული უნივერსიტეტი.** მოვაგონებთ ჩვენს მკითხველებს, რომ კვირას, 8 ამა ოქტომბერს, საღამოს 8 საათზე სათავად-აზნაურო სადეპუტატო საკრებულოს სადგომში დანიშნულია გაგრძელება ქართულ უნივერსიტეტის საზოგადოების პირველის კრებისა. კრების საგანია: გამგეობის, საკონტროლო საბჭოს და საფინანსო კომისიის არჩევანი. მოხსენება სამოქმედო გეგმის შესახებ. წევრად ჩაწერა —იქვე ილ. ზურაბიშვილთან.

◆ **თბილისის ქალთა უმაღლეს კურსებზე** ღებულობენ თხოვნებს საისტორიო, სამეტყველო, საექიმო და საბუნებისმეტყველო ფაკულტეტებზე შესვლის მსურველთა.

◆ **სასადილოების პატრონებმა** განუცხადეს ქალაქის გამგეობას, რომ 1 ფუთი გამომცხვარი პური, რომელიც ამ ჟამად თვითეულ ჩვენგანს ეძლევა, საკმარისი არ არის, ეს პური ხელად თავდება და შემდეგ ტყუილად ვზივართ. ამის გამო თუ ფუთზე მეტ პურს არ მოგვცემთ, იძულებული ვიქნებით სასადილოები დავხუროთო.

◆ **ფარმაცევტების გაფიცვა.** აფთიაქების მოსამსახურეებმა განცხადება გააკრეს ქალაქში შემდეგის შინაარსით: ვინაიდან გაფიცვა გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ აფთიაქის პატრონებს უნდათ ფასი მოუმატონ წამლებს, ნებას არ მივცემთ ასე მოიქცნენ და მიტომ ვიფიცებით. ხოლო, რომ ქალაქი უწამლოდ არ დარჩეს, ქალაქის გამგეობას რეკვიზიციის წესით 11 აფთიაქი აქვს ქალაქის სხვა და სხვა ადგილას და ამ აფთიაქებში წამალს მისცემენ მცხოვრებთ.

◆ **პურის რაციონის (კერძი) შემცირება.** საგუბერნიო სასურსათო გამგეობას ცნობა მოსვლია, რომ პურის რაციონი კაცის თავზე გირვანქიდან სამ მეოთხედ გირვანქამდე უნდა შემცირდესო.

◆ **კვერცხის რეკვიზიცია.** ღვინობისთვის 5-ს საგუბერნიო სასურსათო გამგეობის განკარგულებით ვაგზალში ჩამოართვეს პატრონებს 34 ყუთი კვერცხები და კოოპერატივებს გადასცეს გასასყიდათ.

◆ **ქალაქის საადრესო სტოლი,** რომელიც პოლიციის განკარგულებაში იყო ქალაქის თვითმართველობის სასტატისტიკო ბიუროს ხელში გადადის.

◆ **სესხის განაღდება.** ქალაქის თვითმართველობის მოკლევადიან სესხიდან 700.000 მანეთის რეალიზაციას ამიერ კავკასიის ბანკი კისრულობს.

◆ **თბილისიდან-კავკავამდის.** ღვინობისთვის 2, თბილისიდან კავკავს სამხედრო მფრინავი გადაფრინდა. მფრინავმა მთებზე გადაიარა.

◆ **მასწავლებელთა კრება.** დღეს, ღვინობისთვის 7-ს, საღამოს 7 საათზე, ქალთა მეორე გიმნაზიაში დანიშნულია კავკასიის მასწავლებელთა კავშირის თბილისის განყოფილების წევრთა კრება.

◆ **მოუვიდა გუბერნიის სასურსათო კომიტეტს** ღვინობისთვის 6-ს, ფქვილი 6 ვაგ. და რკინა 3 ვაგონი.

◆ **გაიფიცნენ:** სპილენძის ქარხნის მუშები ვაგზლის მახლობლად და სომეხთა სემინარიის მსახურნი.

◆ **საქ. ერ.-დემ. პარტ. სტუდენტ** ქალთა და ვაჟთა მორიგი კრება დღეს, საღამოს 7 საათზეა დანიშნული, პარტიის ბიუროში, სასახლის ქუჩაზე.

## ბათუმი.

◆ კვირას, 8 ოქტომბერს, დილის 10 საათზედ, საკრებულო დარბაზში დანიშნულია ქ. შ. წ.-კ. გამავრცელებელ საზოგადოების ბათუმის განყოფილების წევრთა წლიური საზოგადო კრების გაგრძელება. ასარჩევია გამგეობის წევრები.

## ქ. ოზურგეთი.

◆ კვირას, 15 ოქტომბერს, ამა 1917 წ. დილის 11 საათზე, დანიშნულია ახალ თეატრის დარბაზში გურიის სასოფლო სამეურნეო საზოგადოების წევრთა წლიური კრება. განიხილავენ შემდეგს საგნებს: 1. განხილვა და დამტკიცება გასული 1916 წლის ანგარიშისა. 2. განხილვა და დამტკიცება ამა 1917 წ. ხარჯთაღრიცხვისა. 3. რწმუნების მიცემა საბჭოსადმი შესახებ უძრავ მამულების შეძენისა და საკუთრივ აკეთის მამულის მიღებისა შემწირველ კნეინა ნინო თავდგირიძისაგან. 4. არჩევა საბჭოს და სარევიზიო კომისიის წევრებისა ნაცვლად იმათი, ვისაც რიგით გამოსვლა უწევს. 5. არჩევა და მიღება საზოგადოების ახალი წევრებისა.

# კათალიკოს კირიონ II სიტყვა თქმული მცხეთაში

„დიდება ღმერთსა სრულ-მყოფელსა ყოვლისა კეთილისასა“! საქართველოს ეკლესიამ ასი წლის მონობის შემდეგ კვლავ ჰპოვა მოწყალება ღვთისა და დაიბრუნა თვისი დამოუკიდებლობა; ამიერიდან „არღა ვართ მონა, არამედ აზნაურ“. ქართველმა ერმა ამა წლის 17 ენკენისთვეს დამადგინა მე უღირსი მწედ და საჭეთმპყრობელად ახლად აღდგენილ თვისი ეკლესიისა. აღვ ლ რა მცხეთის ძველ საპატრიარქო საყდარზე, მოგმართავთ ყველას მოციქულის სიტყვით: „მადლი უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი და სიყვარული ღვთისა მამისა და ზიარება სულისა წმიდისა იყავნ თქვენ ყოველთა თანა“!

სამშობლო საყვარელო, ღვთის-მშობლის წილ-ხვდომილო, ბრძმედსა შინა ტანჯვა-ვაებისასა განწმედილო! შენთვის ტანჯული, შენგან განშორებული, შენთვის მტირალი, მუდამ შენკენ ლტოლვილი დღეს განვისვენებ ტაძილსა შინა წიაღსა შენსა არა ვითარცა შვილი უძღები, არამედ ვითარცა მესაიდუმლე და სინიდისი ეკლესიისა შენისა, ვითარცა მეხვაიშნე შენი წინაშე ღვთისა და კაცისა. ვიცი შენი გულისყური ამ ჟამად ჩემკენაა მოქცეული და მეკითხები: რა მომიტანე, რა მალამოსა სცხებ იარებსა ჩემსა, რით მანუგეშებ სევდა მოსილსა? ყური მომიპყარ: „არა მოველ, რათა გიმსახურო, არამედ მსახურებად შენდა და მიცემად სული ჩემი სახსრად შენდა“. (მთ. 20,28). მოველ არა ვითარცა მწყე სასყიდლით დადგენებული, არამედ ვითარცა მწყე ერთგული და მარად მღვიძარი.

დიდარს, მძიმე და საპასუხისმგებლო საჭეთმპყრობელობა ახლად აღდგენილისა ეკლესიისა. „ჭეშმარიტად საღმრთოო, დიდ და სამეტნებულ არს წმიდაი ესე მსახურებაი, რომლისათვის, თქმულისაებრ წმიდისა ოქროპირისა, საჭირო არს ძალი და ბუნებაი ანგელოზთაი; გარნა, მადლითა და სახიერებითა კაცთმოყვარისა მეუფისაითა მივიღებ არჩევასა ქრისტეს-მორწმუნისა ერისასა და, მოსული წინაშე ღვთივ-აღმართებულისა აქ საკურთხევლისა, აღთქმასა ვჰყოფ საღმრთოთა წესთა და სარწმუნოებისა დაცვისათვის, ერთგულებისათვის ამა კათოლიკე ეკლესიისა და თავისა და სულისა დადებისათვის ვიდრე სისხლის დათხევამდე ერისა ჩემისა კეთილდღეობისათვის“. აღთქმული ვარ ცხოველითა სარწმუნოებითა, რომ მეოხებითა და ვედრებით ყოველთა წმიდათა ივერიის ეკლესიისათა წარემართოს საქმე კეთილად. „დიდი თამარი, ღმრთისა ამარი ჩვენთვის ვედრებად მარად მზად არი“.

განმტკიცება ახლად აღდგენილ ეკლესიისა მის ისტორიულ უფლებათა ფარგლებში,—აი პირველი საზრუნავი ჩემი. ასი წლის მონობის გამო შეირყა საქართველოს ეკლესიის მწყობრი ცხოვრება, ერის გულთან შეთანხმებული; დაირღვა კავშირი, გაქრა სული ცხოველი. განთავისუფლებული ეკლესია პირველ ყოვლისა განახლებულ უნდა იქმნეს თანამედროვე ცხოვრების საჭიროებათა მიხედვით ყოველ სფეროში და ესრეთ განცხოველებული კვლავ დაუბრუნდეს ერის მთლიან გვამს, რათა ვიყვნეთ ყოველნი ერთ გვამ და ერთი ორად ვილტვოდეთ საერთო წარმატებისათვის.

ღელავს და ბობოქრობს მსოფლიო ზღვა, მრისხანედ გუგუნებს ცეცხლი მსოფლიო ომისა, რომელსა შინა „ქვეყანაი და საქმენი მისნი დაწვად განმზადებულ არიან“ (2 პეტ. 3, 10). ეხლა უნდა გამოიჭედოს და გარდაიქმნას ბედი სხვა და სხვა ქვეყნებისა, განსაკუთრებით-კი პატარა ერებისა. ეკლესია მუდამ უდგა დარაჯად ქართველ ერის მთლიანობას და დამოუკიდებლობას, ის იყო ერთგვარი ღრუბლი, რომლის ქვეშ ღვივოდა ნაპერწკალი ქართველთა სოლიდარობის იდეისა. ტყუილად-კი არ ამბობდა XIV საუკუნეში ცნობილი გიორგი მერჩული: „ქართლად ფრიადი ქვეყანაი აღირაცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის და ლოცვაი ყოველი აღესრულების“. თუ ასე იყო ძველად, დღესაც ვალად აძევს ჩვენს ეკლესიას გემსახუროს ამავე იდეას და მედგრად აუწყოს კაცობრიობას სახელი ქართველი ერისა; მან უნდა ხელი შეუწყოს ჩვენს განმტკიცება-გაერთიანებას, რათა კაცობრიობის ფერხულში ჩვენ ვპოვოთ შესაფერი და დამსახურებული ადგილი. აი მეორე საზრუნავი ჩვენი!

ჩვენი ეკლესიის სასიქადულოდ უნდა ითქვას, რომ ის არა როდის არ ყოფილა საერთაშორისო დამოკიდებულების გამწვავებელ იარაღად და ფანატიზმის დამყარების მიზეზად. პირიქით, ჩვენ ვიცით, რომ ქართული სახარება და მუსულმანთა ყურანი ერთსა და იმავე საპატიო ადგილს ჰპოვებდენ წიაღსა შინა გვირგვინოსან ჩვენი წმიდანისა; ეკლესია იყო ერთი მიზეზი იმისა, რომ ყველა უცხო ტომი ჩვენში ჰპოულობდა მეორე სამშობლოს და ბევრი მათგანი საქართველოს ეკლესიის წმინდათა შორისაც კი აღირაცხა. ერთა შორის სოლიდარობის დამყარება და განმტკიცება ეხლა უნდა მორიგ საკითხად ჩაითვალოს, განსაკუთრებით კავკასიაში, სადაც ამ სოლიდარობას ხელოვნურად არღვევდენ, ხშირად, უნდა ითქვას, ძველი საეკლესიო რეჟიმის საშუალებითაც. განახლებული ქართული ეკლესია მიზნად ისახავს კვლავ წამოაყენოს მევრისაგან დავიწყებული ლოზუნგი: „ერთ არს ღმერთი და მამა ყოველთა, რომელი ყოველთა ზედა არს და ჩვენ ყოველთა შორის“ (ეფ. IV 6) და ამ ნიადაგზე ყველა მეზობელ ერებს ძმურ, შემოქმედებითი მუშაობისაკენ მოუწოდოს. აჰა მესამე საზრუნავი ჩვენი!

ეხლა თვალი გადავავლოთ ჩვენს, ქართველ ერის შინაურ ცხოვრებას, რას დავინახავთ? ხალხს, ჯეროვან სწავლა-განათლებას მოკლებულს და ამის გამო ეკონომიურად გაღატაკებულს და სოციალურად დაბეჩავებულს. ჩვენი ძველი კულტურა და სწავლა-განათლება ეკლესიათა კედელ შუა აღმოცენდა, აქ პოულობდენ ჩვენი წინაპარნი სულიერ საზრდოს და ქვეყნიურ კეთილდღეობის საზომს. ნუ ვინ იტყვის, რომ ეკლესიამ თავისი დრო მოსჭამა, რომ ის ეხლა არა კულტურული, არამედ ანტიკულტურული ძალაა. მას კიდევ შესწევს იმდენი ძალა, რომ ხალხს ემსახუროს და გაუნათოს მას გზა უკეთესი ცხოვრებისა. მღვდელი დღესაც ერთადერთი კულტურული ძალაა სოფელში და ჩვენი განახლებული ეკლესიის საზრუნავია—ეს ძალა ჯეროვან კალაპოტში ჩააყენოს, ხელი აღუპყრას დაბეჩავებულ ხალხს და დედობრივის გულშემატკივრობით უთხრას მას: „მოვედით ჩემდა ყოველნი მაშვრალნი და ტვირთ მძიმენი და მე განგისვენო თქვენ“. (მათ. XI, 28).

ჭეშმარიტად, როგორც ხედავთ, „ფრიად არს სამკალი“; ვასოვებ, რომ მე უძლურმან, მაგრამ ღვთისა კურთხევითა და თქვენის დახმარების და თანაგრძნობის იმედით განძლიერებულმან კეთილად განვლო მოღვაწეობა ჩემი და ჩემის სიცოცხლის დადებამდე ვემსახურო ურცხვენელითა სამსახურითა ჩემს მოწოდებულს ერს.

„ღმერთო, შეწევნასა ჩემსა მოხედენ, უფალო შეწევნად ჩემდა ისწრაფე“. (ფს. 69,1).

# პატარა ფელეტონი

## თავადი-თოდა

### I

თოდა მეტი სახელი იყო გიორგისა, ანუ „კნიაზ გიორგისა“, როგორც თვითონვე უყვარდა შემდეგში სახელის გაბრტყელება. ყოველ შემთხვევაში კნეინა ცაკალო, მისი პატრონსანი დედა, როგორ შესძლებდა „კნიაზობის“ ხარისხის გაცვლას? იგი მზად იყო გვერდით არავინ გაეკარებინა, როგორც დიდ ამილახვრიანთ ნათესავს, სადაც მეტ წილად გენერლობასა ჰხედავდა ბჭყვრიალა ღილებითა და მუნდირით. ცაკალოც როგორც ის, ისე მისი ბრწყინვალე ნათესაობაც დიდად მოსურნე იყო გიორგი სამხედრო პირად აეზარდათ, რომ „მუჟიკებთან“ არაფერი საერთო არ ჰქონოდათ.

— არა, ჯავახიანთ ოსიკაზე რითია ნაკლები ჩემი გოგილა, რომ ვაენი არ გამოვიდეს, აპელატებიანი?—უთქვია ხშირად კნეინა ცაკალოს. ამიტომაც შვილი დაუყოვნებლივ საკადეტოდ განამზადა, მაგრამ... ტყუილად შვილია ქმრისგან დატოვებული ქონება შვილის „ვაენობას“, ვერც ნათესავთა ხვეწნა-მუდარა-პროტექციებმა გასჭრა: ბავშვი ყოვლად დაუდეგარი გამოდგა, ყველას სცემდა, ანგრევდა, ვიდრე არ დაითხოვეს. შემდეგში თვით ცაკალოც დარწმუნდა, რომ „ვაენობის“ ოცნებას უნდა გამოსთხოვებოდა, სცადა გიმნაზიაში მაინც გაეთავებინა სწავლა, მაგრამ აქაც ითავა გიორგიმ, ორი განყოფილებაც არ გაეთავებინა, რომ დაითხოვეს. ეს კი მეტის მეტი ზარი იყო როგორც ცაკალოსთვის, ისე ბრწყინვალე ნათესაობისთვის, გაიზრდება თავს მოგვჭრისო. აი, ამ დროიდან დაერქვა გიორგის თოდა თავის საკუთარ ნათლია შერმადინ პაჭკაძისგან, რომელმაც ყურები აუწია ნათლულს და გაჯავრებით შეჰნიშნა: შე თოდა, რა ღმერთი გიწყრება, რომ გზაზე ვერ ჰდადგეო.

თოდა შერმადინის ძველის ძველი ნაყმევის შვილი იყო, ცოტა ჭედილი მოსულელო, თუმცა მისი ერთგული ბიჭი, მეტის მეტად მეამიტი და გულ-მართალი ადამიანი. გიორგიმ თითქოს შეიშვნია ეს სახელი, ვიდრე წამოიზრდებოდა. შემდეგში კი, როდესაც თავზე ხელი მოისვა, აანიაფ ჩამოანიავა მამულ-დედული, სახელი გაიფუჭა და ნათესავთ ეთაკილებოდათ მისი სტუმრობა. ლოთობა, ქეიფი, ზურნა და დაფი, როცა წითლიანს შუბლზე გააკრავდა მეზურნეს და თანაც შხამს ამოაფენდა სილების ლაწა-ლუწით, ეს შიქასტა რადგ შეჰშალეო,—მისთვის აღდგომა იყო ხოლმე. ბოლოს, ვინ იცის, იქნებ რა ბედი სწევოდა, სად ვისი წერა გახდებოდა, რადგანაც სულ ხანჯალზე ეჭირა ხელი, რომ რევოლუციას არ ეხსნა, რევოლუციას ცხრაის ხუთი წლისას, როცა სოციალიზმის ჰახჰახა პერსპექტივებს მოეჯადოვებინა დიდი და პატარა. თოდამ ყურები სცქვიტა. დაუყოვნებლივ წითელ რაზმში ჩაეწერა. ჩოხა საგანგებოდ მოირთო. წითელი სამასრეები შემოივლო. ჩექმის ყელში წლუჯა-ბლუჯა პროკლამაციებს ინახავდა და თავის „ცოციალისტობის“ დასამტკიცებლად, თუმცა არა თუ პროკლამაციების აზრის გაგება, თვით თავიდან ბოლომდე ჩათვლით ჩაკითხვაც კი ეძნელებოდა.

### II

კნეინა ცაკალოს გულში ლახვრად მოხვდა შვილის „გაცოციალისტება“, მით უმეტეს მაშინ, როდესაც გაიგო, რომ „თავადობა“ უნდა გადავარდეს და ყველანი თანასწორები უნდა ვიყოთო. მისი წუხილი ბრწყინვალე ნათესაობამაც გაიზიარა. ყველამ ბოიკოტი გამოუცხადა. საგვარეულოს სიებიდან ამოშალეს, ნათესავად აღარ იწამეს.

— ვინა, თოდაზე ბრძანებთ?—გეტყოდენ როცა სიტყვა გიორგიზე ჩამოვარდებოდა,—არ ვიცნობთ, გაგვიგონია სადღაც, როდესღაც...

ღვთის წინაშე, თოდამაც იყარა მათი ჯავრი! ვისაც კი მოასწრო, სულ თავზედი აწყვლინა: სახლკარი გადაუწვა, აწიოკებდა ამხანაგებითურთ როგორც შავრაზმელებს. ერთხელ საკუთარი ბიძაშვილი მოჰკლა, თავი მოაჭრევინა და სოფელს ნებას არ აძლევდა დამარხვინებისას, ვიდრე ლეშმა იჭუჭრობა არ აჰყროლა. სითამამესთან ერთად მოსულდა კიდეც, გალამაზდა, ულვაშები აიწკიპა. ვინღა იტყოდა, ეს გუშინდელი თოდა იყო! წარმოიდგინეთ, ბოლოს კნეინა ცაკალოც კი შეირიგა, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც სხვის შვილმა შინ ნობათების ზიდვა დაიწყო. ნაირ-ნაი-

რი ნივთიერობა, ხშირად აბრეშუმისა და ფარჩის საგნები, ბლუჯა-ბლუჯა თეხები ქაღალდის გაუტეხავი ას-ას მანეთიანები. როცა კნეინა მხურვალედ ხელს დაუკოცნიდა და ეკითხებოდა, შვილო, საიდან მოგაქვსო,—ის შუბლზე თითს მიიდებდა და ამაყად იტყოდა:

— ბიჭმა იცის, დედი, ბიჭმა!

მართლაც, ეხლა სულ სხვა ბიჭი იყო! ვინლა ჰკადრებდა თოლა დაეძახნა! ყველგან „წითელი გიორგის" სახელით იცნობდნენ. მისმა მფრინავი რაზმის სახელმა თბილისამდინაც კი ჩამოაღწია. ფარულად მომქმედმა კომიტეტმა მასში დაინახა დიდი სამხედრო პიროვნება, რომელსაც შეეძლო წითელი არმია გამოეყვანა თვითმპყრობელობის დასანგრევად. ერთხელ ბრძანებაც კი მისცა: აბა, შენი რაზმით ჯერ დუშეთის არსენალი აიღე, შემოიერთე დუშელები, დაეცი გორის არსენალს და შეერთებულის ძალებით წამოდი თბილისის ასაღებადაო. გიორგიც სიხარულით ცას დაეწია, აფოფხურდა, მაგრამ თუ ასე ვერ მოიქცა, მხოლოდ იმიტომ, რომ მის „სახელოვნებას" სინამდვილეში თან სდევდა ბრწყინვალე სიზმარი. ჟღილესი საქმე, რაც მის სიმარჯვეს ჰლალადებდა, იყო ადგილობრივ ორი-სამი სტრაჟნიკის თოფების ჩამორთმევა. როცა დაჭერილები მოუყვანეს, იარაღ-აყრილები, სილებით ლოყები დაუწითლა, მთავრობას რად უწევთ სამსახურსაო. ეს კი დიდი გმირობა იყო. ხალხის თვალში ეს ისეთ ადამიანად იქცა, თითქოს უმისოდ რევოლუცია ელვარებას დაჰკარგავდა, დამარცხდებოდა. ამიტომ იყო რომ ყველა თავზე ევლებოდა, ქალი და კაცი, მოჰქონდათ ყოველისფერი, რომ მისთვის ესიამოვნებინათ. ბედნიერი იყო გიორგი. მისი ვარსკვლავის სიკაშკაშე ეხლა მის შორს მდგარს ნათესავებსაც კი სჭრიდა თვალს, რომლებსაც ძველისთვისაც ვეღარ დაენებებინათ თავი და ახალსაც ვერ შეჰრიგებოდნენ.

III

მაგრამ ცვალებადია ბედი: რევოლუცია დამარცხდა. ქართლი დარბეულ იქმნა. მრავალი სოფელი განადგურდა. გაცოფებულმა ყაზახებმა ზარბაზნითა თუ ცეცხლით გადასწვეს სოფლები. ვინ იცის, რამდენი სოფელი გაანიავეს, რამდენი ჩაჰყარეს იარაღის დღეებში ფეხშიშველად მდინარის ტალღებში, რამდენი დაახრჩეს და ცემატყეპით თუ მუქარით ათქმევინეს „წითელთა" სახელები. ბევრი დაიჭირეს, ბევრი პირუტყვულად დაასაკლავეს. ცოდვის ღული ცასა სწვდებოდა, რივვა და ხვრეტა, ტყვებითა და უმანკოთა პატივის აყრა შავ ჩირადდნების ადრად მიდიმოდიოდა სოფლიდან სოფელს, მაგრამ ვინ იყო მშველელი? გიორგის წითელ არმიიდან მხოლოდ თამამმა იჭკამა ფეხვეწყვეტ თავი, ყანულის სირცხვილი გადაჰქონდეს კავკასიონით, როგორ ორბებთან და არწივებთან ერთად ეთარეშათ და ადამიანთა უმადურობის ბრაზი გამელელზე და გამომელელზე ეყარათ მაინც. თვითონ გიორგი რაღაცა მანქანებით გადაიკარგა. მისი გულადი ამხანაგები გაფაციცებით დაეძებდნენ, უშლოდათ გავგოთ ხომ არ დაიჭირეს, რომ ეუშველოთ როგორმე, მაგრამ ამაოდ რჩებოდა მათი ცდა. გიორგის მხოლოდ მაშინ ჰხედავდნენ, როცა განკითხვის დღე უდგებოდათ, როცა ცოცხალი ლეშ ვ დებოდნენ ხელში გახელებულ მდევრით. ერთმა თვალებზე ხელიც კი ბიიფარა, როდესაც საიდუმლოდ გადაცემული, ბოქაულის ექოლეტებით ნახა საპოლიციო იმ განყოფილებაში, სადაც ჩვენების ჩამოსართმევად შეიყვანეს. გიორგის ერთხანად ალაპარაკდა გაეკვირვა, როცა გაიგონა ამხანაგის შეძახილი: „გიორგი, შენ აქ?!" მაგრამ მღელვარება ღიმილით ჩაჰკლა. შემდეგ ისევ წამოთამამდა, ბრალდებულის მაგიერად ლაპარაკობდა, სად როგორი მკვლელობა მოეხდინა, ან სად როგორი ყვავ ჯიშვა მეფის სურათზე სროლით შეაქანწვლდა. ბრალდებული სდუმდა, თავჩაღუნული იატაკს მიაჩერდებოდა და ასე უსიტყვოდ ადასტურებდა მის ჩვენებას. მისი სიჯიუტე აბრაზებდა გიორგის, თითქოს უნდოდა, რომ ბრალდებულს ამოეღებინა ხმა, მიეღო მისგან სილა, გინება, თვით ყელში წაჭერას და დახრჩობასაც არ მოერიდებოდა, ოღონდ ნუ ყოფილიყო ასე გაჩერებული. მთელი დღეც სულ ფიქრებში გატარა. იგინებოდა, ხან კიდევ თავს მართლულობდა, რატომ ისიც ჩემსავით არ მოიქცაო. სამი დღის შემდეგ კი უფროს თხოვნით მიჰყართა სადმე შორს ბოქაულად გადაეყვანათ, რაიც მალე შესრულებულ იქმნა. მართლაც, განჯის ოლქის ერთ-ერთს მიყრუებულს საბოქაულოში მიიღო ადგილი, სადაც იგი იმდენივე გაემართა, რომ კიდევ არ მოჰხდომოდა ყოფილ ამხანაგებთან პირის-პირ შეხვედრას.

დ. კასრაძე.

(დასასრული იქნება)

# არტაანის მხარეში*)

სოფ. კანჯახიდან, რომელიც სოფელ დიდ სარძევეს დაჰყურებს, ძირს ჩამოვედი. რატომ ჰქვიან ამ სოფელს სარძევე? დამეკითხება პატივცემული მკითხველი. აი, რატომ: ძველად ჩვენი მამა-პაპები, რასაკვირველია, რომელნიც არტაანის ოლქში ცხოვრობდნენ, ძროხებისა და ცხვრების ჯოგს წველიდნენ მაღლა, სოფელ კანჯახის გვერდით, მისთვის საგანგებოდ მომზადებულ ქვის აუზში, რომლიდანაც რძე მილით ქვეშ ს. სარძევეს აუზში ჩამოდიოდა და აქ ყველსა და ერბოს ამზადებდნენ. ეს აუზები, როგორც მაღლა, აგრეთვე ძირსაც, დღესაც არის, მხოლოდ ცოტაოდენი შელანძღულია და მიწაში გაყვანილი მილების ნაშთი-და სჩანს. ს. სარძევეში დღეს მალაკნები სცხოვრობენ, რომელთაც შეჰცვლია არ მოსწონებიათ ქართული სახელი „სარძევე" და ამ სოფლისათვის ნიკოლაევკა დაურქმევიათ. ადგილობრივ თათრებს, რომ უთხრათ ნიკოლაევკაში მივდივართ, ვეღარ გაიგებენ და შემოგეკითხებათ: რუსეთში? უეჭველად უნდა უთხრა „სარძევეში", თორემ სიტყვა ნიკოლაევკას ვეღარ შეაჩვევიან და არც ისე დიდი ხანია, რაც აქ მალაკნები გადმოსახლდნენ, სულ 17—20 წლიწადი იქნება. აი, ამ სოფელ სარძევეს შუა გულში თქვენ ნახავთ გვირაბის თავს, რომელსაც დიდი ქვა ადევს. ეს გვირაბი აქედან ნასოფლარ გვირაბში გადის, რომელიც მტკვრის პირადა დევს, სოფელი სარძევედან ერთი ვერსის მოშორებით, რომელიც ეხლა ჰქვია მალაკნებისა. 1882 წელს აქ პიატიგორსკის პოლკი იდგა (მაშინ აქ მალაკნები არ ყოფილან). ჯარის კაცებს ნასოფლარი გვირაბში ორმოს თხრა დაუწყიათ, მათთვის აუცილებელი საჭიროებისათვის და როცა ნახევარი საჟენის სიღრმეზე გაუთხრიათ, გვირაბის თავი აღმოჩენილა, სადაც პატარა ოთახი ყოფილა ეკლესიათ ძვირფასის საეკლესიო ნივთეულობით (ოქროს ჯვარი და ხატები ბრილიანტის თვლებით მორთული და სხვა მრავალი სამკაული ყოფილა).

შემდეგ მივედი ს. თაბაქეთში, სადაც 64 კომლი მცხოვრები მაჰმადიანი ქართველია. სოფლის ცოტათი მაღლა ერთი მოზრდილი ეკლესიის ნანგრევი მოჩანს. თაბაქეთიდან ს. ზედა წვრულმანში გადავედი. ესეც ქართული სახელია და აქაც 31 კომლი, ანუ 296 ქართველი მაჰმადიანები ცხოვრობენ. სოფლის ახლოს ნაეკლესიარი ადგილია, მისი ნანგრევი სჩანს. იქვე იწყება ქვედა წვრულმანი, აქაც 20 კომლი, ანუ 279 ქართველი მაჰმადიანებია. აქედან ცოტათი გაშორებით კიდევ მაღლობზე ნასოფლარი წვრილმანია. აქ არავინ არ ცხოვრობს. ნაეკლესიარი ადგილი აქაც არის. აქედან ს. ჩედიში გადავედი. სოფელი ქვეშ ჩასავალშია და ალბად ამიტომ უწოდებიათ სახელად ჩადი. აქ 9 კომლი, ანუ 89 ქართველი მაჰმადიანი ცხოვრობს. იქვე სოფლის ზემოთ ერთი მოზრდილი ნაეკლესიარი ადგილია. აქ ცოტათი დავისვენე და სოფელ ჩიქორაში გადავედი. აქაც 12 კომლი, ანუ 360 ქართველი მაჰმადიანები ცხოვრობენ. აქაც არის ეკლესიის ნანგრევი. აქედან ს. ადაგულიში გადავქუსლე ცხენით. ადაგული ნამდვილი ქართული სახელია. აქაც 26 კომლი, ანუ 533 ქართვ. მაჰმადიანები ცხოვრობენ. აქ ერთი მოზრდილი ეკლესია ყოფილა, რომლის კედლების ნაწილი და დარჩენილა. იქვე ს. დადა-გულია. ესეც ქართული სიტყვაა. აქაც 40 კომლი, ანუ 599 ქართველი მაჰმადიანები ცხოვრობენ. ეკლესიის ნაგრევი აქაც არის. იქვე სოფელი მანი-ოთხია. მანი ოთხი, ანუ მანდ-ოთხი ქართული სიტყვაა, ალბათ იმიტომ დაურქმევიათ ამ სოფლისთვის მანდ-ოთხი, რომ იქვე ახლო-მახლოს ოთხი ეკლესიის ნანგრევებია. აქაც 8 კომლი, ანუ 140 სული ქართველი მაჰმადიანები ცხოვრობენ. მანდ-ოთხიდან ს. რევაზში გადავედით. აქაც 20 კომლი, ანუ 346 ქართველი მაჰმადიანები ცხოვრობენ. აქ ერთი მოზრდილი, მხოლოდ ნახევრად დანგრეული ეკლესია დგას. აქედან ს. ტიბათში გადმოვედით. ესეც ქართული სიტყვაა. აქაც 15 კომლი, ანუ 247 ქართველი მაჰმადიანებია. შემდეგ ს. ხევაში მოვედით. ეს სოფელი ხევის პირადაა და ხევიც მისთვის დაურქმევიათ. აქაც 6 კომლი, ანუ 77 ქართველი მაჰმადიანები ცხოვრობენ. აქედან ს. ჩიქილარში გადავქუსლე ცხენით. აქ 10 კომლი, ანუ 185 ქართველი მაჰმადიანებია. ერთი ეკლესიის ნანგრევი აქაც არის, მაგრამ დანგრეულა. ს. არძა-დახევშიაც გავიარე, არძა-დახევი მე მგონია ქართული სიტყვა უნდა იყოს. ხევი ვიცით რასაც ნიშნავს და არძა შეგრული სიტყვაა, რაც ნიშნავს ყველას, მაგრამ სიტყვა „და" რა არის? არძა დახევში 15 კომლი, ანუ 271 ქართველი მაჰმადიანები ცხოვრობენ. აქაც არის ეკლესია და პატარა ციხის ნანგრევი. აქედან სოფელი გინდა-შენში გადავქუსლე ცხენით. აქაც 26 კომლი, ანუ 387 ქართველი მაჰმადიანებია. გინდაშენში ორი ეკლესიის ნანგრევია. იქვე ახლოს ქვემო გინდა-შენია. აქაც 15 კომლი, ანუ 208 სული ქართველი მაჰმადიანები ცხოვრობენ. შემდეგ ს. კალინდარ-დარასში გადავედი, ეს კი არ ვიცი რა სიტყვა, თათრული კი არ არის ვიცი. აქ 3 კომლი, ანუ 37 ქართველი მაჰმადიანები ცხოვრობენ. სოფლის გარედ ერთი პატარა ეკლესიის ნანგრევია. სოფ. ქირფა-შენი, ანუ მე მგონია ქორფა-შენი უნდა იყოს. აქაც 27 კომლი, ანუ 348 ქართველი მაჰმადიანია. აქ არ ვიცი ციხის, თუ ეკლესიის ნანგრევია, ვერ გავარჩიე.

შემდეგ მივედით ს. ფულასში. აქ 10 კომლი, ანუ 129 ქართველი მაჰმადიანებია. აქვე სოფელ ფოფორუში გადავედით, აქაც 31 კომლი, ანუ 364 ქართველი მაჰმადიანები ცხოვრობენ. ს. დუშეც იქვეა. 33 კომლი, ანუ 386 ქართველი მაჰმადიანებია. აქ კლდის ქვეშ—ღელესთან ერთი ეკლესიის ნანგრევია, რომლის მარტო კირში შედუღებული ქვებიღა ეყარა. აქედან ს. ფეთიობანში გადავედით, აქაც 40 კომლი, ანუ 486 ქართველი მაჰმადიანები ცხოვრობენ. იქვე ს. გიორგისუბანია. აქაც 19 კომლი, ანუ 380 ქართველი მაჰმადიანებია. აქედან ს. შუდლაურში მოვედით, აქაც 10 კომლი, ანუ 160 ქართველი მაჰმადიანია. შემდეგ გადავედით ს. ლამიანიში, აქაც 10 კომლი, ანუ 139 ქართველი მაჰმადიანებია. ლამიანიდან ს. შუა-წყალია, აქაც 40 კომლი, ანუ 589 ქართ. მაჰმ. ს. ხე-თვისი, აქაც 9 კომლი, ანუ 109 ქართ. მაჰმ., ს. სათლელი, აქ 20 კომლი, ანუ 345 ქართ. მაჰმ., ს. ერემი, აქაც 10 კომლი, ანუ 120 ქართ. მაჰმ. ს. ერემი ძრიელ მაღლობზე დგას, მხოლოდ ცოტათი მასზე დაბლა კლდეზე, ერთი ვეებერთელა ციხე სდგას, რომლის 6—7 საჟენიანი კედლები ზევიდან ამაყად გადმოჰყურებს ქვეშ მტკვარს. ციხე თითქმის დაუნგრეველია, მხოლოდ მასში სახლები აღარაა მთელი. იქვე ახლოს ს. სტეფან-წმინდაა. აქ 22 კომლი, ანუ 208 ქართველი მაჰმ., ს. ზეინდარი, ეს სოფელი ოდესმხოლოდ მასთან მდგარი ეკლესია, რომელიც სრულიად მთელია, რაღაც განგებით დარჩენილა. ეკლესიაში სურათები სჩანს, მაგრამ სახის გარჩევა ძნელია. შემდეგ მიწის ნგრევითა სოფელი იქვე ნახევარი ვერსით მოშორებით გადაუტანიათ. ს. დილვირი თითქმის სწორ ადგილზე სდგას მტკვრის პირად. იქვე სოფელთან პატარა ციხე სდგას, რომლის კედლები მთელია, მხოლოდ სახლები, როგორც შიგნით, აგრეთვე ციხის გარედაც დანგრეულა. ციხის პირდაპირ მტკვარზე თამარისეული ხიდი ყოფილა, რომლის თავები ორივე მხრიდან მთელია, მხოლოდ შუა ადგილი ჩანგრეულია. აქ 60 კომლი, ანუ 606 ქართველი მაჰმ. ცხოვრობს. ს. ჯმაჯუხი ტყეში დგას. აქაც ისეთი ციხეა, როგორიც დილვირში. ციხეს გვერდზე პატარა ღელე ჟვლის თვისი მოზრდილის ხევანით. აქაც 46 კომლი, ანუ 570 ქართ. მაჰმ. ცხოვრობენ. ს. ლვინია, აქ საშუალო ზომის ეკლესია მთელი სდგას. ამბობენ, როცა მიწას ვხნავდით ჰური ამოდიოდაო, ეხლაც ბევრია აქ ჰურებიო. იქვე ბევრი ჰურის ნატეხები ყრია. ოდესღაც აქ ბაღი იყო ვენახიანი. ამბობენ: იქვე ერთი ვერსის მოშორებით, მხოლოდ სოფელზე უფრო დაბლა კლდეზე საშუალო ზომის ციხე დგას, რომლის მაღალი კედლები დღესაც მთელია. ციხეს ქვეშ დასავლეთისკენ პატარა ღელე ჟვლის თავისი ციცაბო კლდით, მხოლოდ აღმოსავლეთით მტკვარი თავისი თვალ-უწვდენელის ხეობით. სოფელი კი ჩრდილოეთის მხრით დასცქერის ციხეს. ციხეს, სოფლიდან პატარა ბილიკი აქვს, რომელიც პირდაპირ ციხის კარებს ადგელაც მაღლობზე მდგარა, მაგრამ 1900 წელს მიწის ძვრის დროს ჩაქცეულა. აქ 25 კომლი, ანუ 340 ქართველი მაჰმ. ს. ჭა-ბორია. აქ ოდესღაც დიდი ღრმა ჭა ყოფილა, მაგრამ მცხოვრებლებს ამოუვსიათ. აქაც 30 კომლი, ანუ 355 ქართ. მაჰმ. ს. კოლის-წყარო, აქაც 17 კომლი, ანუ 145 ქართ. მაჰმ. იქვე მეორე კოლის-წყაროა, მაგრამ ნასოფლარია, არავინ ცხოვრობს. აქ ს. საჯაა აქაც 15 კომლი, ანუ 122 ქართ. მაჰმად. ს. კაპანი, ესეც ქართული სიტყვაა და ნიშნავს ქვიან ადგილს, აქაც 5 კომლი, ანუ 66 ქართველი მაჰმად. ს. ჩორჩევანი, ესეც ქართული სიტყვაა. აქაც 14 კომლი, ანუ 156 ქართველი მაჰმადიანებია. ს. საკაბალო, ესეც ქართულია, აქაც 9 კომლი, ანუ 136 ქართ. მაჰმ., სოფ. წინ-სათიბი 12 კომლი, ანუ 108 ქართველი მაჰმ., ს. ზანარხევი, აქაც 28 კომლი, ანუ 238 ქ. მაჰმ., ს. ზურგიშენი, ზურგი მეგრული სიტყვაა, რაც ნიშნავს საზღვარს, საგორავს, აქაც 5 კომლი, ანუ 50 ქართ. მაჰმ., ს. დგას, ამ სოფლის გარშემო კლდე არტყია და თვითონ სოფლის ადგილიც ფეხ მიუკარებელი თავდაცვით, სწორედ რომ ნამდვილი სახელი მიუციათ სოფლისთვის. აქაც 9 კომლი, ანუ 90 ქართ. მაჰმ. ს. ვარძნა, აქაც 20 კომლი, ანუ 250 ქართ. მაჰმ. ცხოვრობენ. ს. მარცვალეთი, აქაც 8 კომლი, ანუ 109 ქართ. მაჰმ. ს. ზედა-წმინდა, აქაც 15 კომლი, ანუ 170 ქართ. მაჰმ. ს. ვარხანა, ვარხანა ქართული სიტყვაა. აქ 20 კომლი, ანუ 241 ქართ. მაჰმ. ცხოვრობს. ს. ობოლი, აქაც 10 კომლი, ანუ 180 ქართ. მაჰმ. ს. ყველი. აქ 50 კომლი, ანუ 635 ქართ. მაჰმ. ს. ალარა. აქ კლდეზე ერთი დიდი ციხეა აღმართული, რომლის ჯერედ დაუნგრეველი ციცაბო კედლები გადმოჰყურებს ქვეშ სოფელს. აქ 32 კომლი, 250 ქართ. მაჰმ. ს. საიხვე. აქ 18 კომლი, ანუ 222 ქართ. მაჰმ. ს. ვახლა, ესეც ქართული სიტყვაა, აქაც 40 კომლი, ანუ 459 ქართ. მაჰმ. ს. ჯუმათელი, აქაც 31 კომლი, ანუ 291 ქართ. მაჰ. ს. წურწყაბი, ესეც ქართული სიტყვაა 93 კომლი. ან 920 ქართვ. მაჰ. სცხოვრობს. ს. ხევათი, 18 კომლი, ან 202 ქ. მ. ს. ხუნაგოსი, ეს სოფელი მაღლობზე დგას, ცოტათი სოფლის დაბლა ერთი პატარა მთელი ციხე დგას. აქაც 28 კომლი, ანუ 263 ქართ. მაჰმ. ს. თამარი აქაც ძველთაგან აბანოები ყოფილა, რომლის კედლები ნახევრადა სდგას და თანაც მოწყობილება. აქ 6 კომლი, ანუ 69 ქართ. ქართ. მაჰმ. ს. დერი, 6 კომლი, ანუ 82 ქ. მ. ს. ოხთელი. აქ ერთი მთელი პატარა ეკლესია დგას, რომელიც გეგონებათ ამ 50—60 წლის წინეთ აუგიათო, რომელშიაც სურათების კვალი სჩანს. აქ 14 კომლი, ანუ 150 ქართ. მაჰმ. ს. სამხლია 25 კომლი, ან 279 ქართ. მაჰმ. ს. მერე, სოფლის ცოტა ქვემოდ, მაღალ სალ კლდეზე მთელი ვეებერთელა მაღალი კედლებიანი ციხე, ქვეშ მტკვარს გადმოჰყურებს. ციხეს მაღლიდან სოფელი გადმოჰყურებს. აქ 9 კომლი, ანუ 158 ქ. მაჰმ. ს. ალ, ალ თათრული სიტყვაა და ნიშნავს ალიე, აქ სოფელში შიგნით მთელი გუმბათიანი დიდი ეკლესია დგას. ეკლესიის კედლებზე სურათების კვალი სჩანს. იქვე ეკლესიის წინ დიდი ქვა აგდია, რომელიც მოყვანილობით ემბაზს მოგაგონებთ, ამბობენ ქართველები აქ ნათლავდნენ ბავშვებსო. აქ 42 კომლი, ანუ 628 ქ. მაჰმ. სცხოვრობს. ს. საკირე. ამბობენ აქ ოდესღაც საკირე ყოფილა. აქვე ერთი პატარა და მთელი ციხე დგას. აქ 45 კომლი, ანუ 473 ქართ. მაჰმ. ს. ენიქეი, ეს თათრული სახელია, ნიშნავს ახალ სოფელს, აქ 30 კომლი, ანუ 387 ქართ. მაჰმ. ს. ქანჯახი ჩავარდნილ ადგილზე დგას, რომლის ორივე მხარეზე ვეებერთელა კედებია აღმართული, რომლებზე ერთმანეთზე პირდაპირ ორი დიდი ციხეები დგანან, რომელთა ქვეშ მდინარე „გოლ-წყალი" ჩადის. ქვეშ სოფელთან ერთი პატარა ეკლესია დგას, რომლის კედლებიღაა დარჩენილი. აქ 30 კომლი, ანუ 365 ქართ. მაჰმ. სცხოვრობს. ს. არალა, ესეც ქართული სიტყვაა, აქ 74 კომლი, ანუ 1002 ქართ. მაჰმ. ცხოვრობს. ს. ჩლდირეთი, ესეც ქართულია და შეადგენს ერთ-ერთ მეოთხედს მხარეს აქ ქურთები ცხოვრობენ. ს. დარინ-დარა, ეს სიტყვა თათრულია და ნიშნავს ღრმა ღელეს, როგორც გავიგე ეს სახელი აქ მცხოვრებ ქურთებს გადაუთარგმნიათ ქართულიდან. აქ მართლაც სოფელთან ძრიელ ღრმა ღელე მიდის. ს. საქუებელი, ესეც ქართული სიტყვაა და ქურთები ცხოვრობენ. ს. შაწყალი, აქ თითქმის არავინ ცხოვრობს, გარდა მოსამსახურე ხალხისა. აქამდის ეს სოფელი შავწყალად იწერებოდა, მაგრამ ვილაც ავსულა რუს ნაწილის უფროსს გამოუცვლია სახელი შავ-წყალი „დამაგლიათი". ყველა ამ ზემოდ აღნუსხულ სოფლებში დაწყებული ს. ბადელადან ს. ჩლდირეთამდე სულ ქართველი მაჰმადიანები ცხოვრობენ. ყველას თავი ნამდვილ ქართველად მოაქვს. აქ ბევრს შეხვდებით: მიქელაძეებს, ჩხეიძეებს და მრავალ ჩვენი ქართველი თავად-აზნაურთა გვარისანს.

კ. მარტველიძე.

(შემდეგი იქნება)

*) იხ. „საქართველო" № 219.

# ქართველ საზოგადოებისადმი

თბ. პოლიტეხნიკუმის სასოფლო-სამეურნეო ნაწილზე შესული ქართველი ახალგაზრდობა ბოლოს უნიადაგო რომ არ დარჩეს, როგორც ეს დღემდარ თნიათ რუსეთში კურს დამთავრებულს აგრონომებს, და რომ სამეურნეო სწავლა მიღებულმა ახალგაზრდამ მოხელის ღილები არ დაიკეროს,—ამიტომ თბ. პოლ. ამავე ნაწილის ქართველმა სტუდენტებმა, იქონიეს რა სახეში აბლად დაარსებული პოლიტეხნიკუმის მოუწყობლობა და ის, თუ რა გაჭირვებას უნდა განიცდიდეს სტუდენტობა ბინის, წიგნების, სურსათისა და სხვა საჭირო საგნების უქონლობით, გადასწყვიტეს თავს ედვათ ინიციატივა და დაარსებინათ თბილისში ქართველ სტუდენტთა სამეურნეო საზოგადოება. საზოგადოება პოლიტიკურ პარტიათა გარეშე სდგას და მიზნათ დასახული აქვს გაუღვივოს თვითეულს წევრს სამეურნეო მეცნიერებისა და კერძოთ ჩვენი ქვეყნის მეურნეობის შესწავლა; ხელი შეუწყოს სტუდენტ აგრონომთა სოფელთან დაახლოებას და გლეხური მეურნეობის შესწავლას. საზოგადოებას აქვს თავისი წესდება, ბეჭედი და ჰყავს 5 კაცისაგან შემდგარი გამგეობა. წევრად ჩაწერა შეუძლიან ყველა ქართველ სტუდენტს, ვისაც კი აინტერესებს მეურნეობა და მის მიღებას გამგეობა შესაძლოდ სცნობს. საპატიო წევრობა შეუძლიან ყველას ვინც განსაკუთრებული მოღვაწეობით ან ნივთიერის დახმარებით საზოგადოების სიყვარულს დაიმსახურებს. გამგეობამ თავისი მოქმედება უკვე დაიწყო და უახლოეს მიზნათ დაისახა საზ. წევრთა ბინის და სურსათის საკითხის მოგვარება. ამ მიზნისათვის შეამდგომლობა აღძრა ქალაქის გამგეობასთან, რათა ქალაქმა საზოგადოების წევრთა საერთო საცხოვრებლისა და სასადილოსათვის შესაფერი ბინა დაუთმოს. გამგეობა ჰფიქრობს ამ დღეებში რუსეთში კაცი გაგზავნოს საჭირო საკითხავი და სახელმძღვანელო წიგნებისა და იარაღის გამოსაწერად. განზრახულია საზოგადოების ლონისძიების გასაძლიერებლად საღამოს გამართვა, სრულის იმედით, რომ გულუხვი ქართველი საზოგადოება უყურადღებოდ არ დასტოვებს ასეთს ნორჩს, მაგრამ დიდმნიშვნელოვან საზოგადოებას. გამგეობა მიჰმართავს ყველას, ვისაც გული შესტკივა ჩვენი სტუდენტობისა და ჩვენი ქვეყნის მეურნეობისათვის ხელი შეუწყოს ამ საზოგადოების გაძლიერებას ყოველგვარის შემოწირულებით: წიგნებით, ბიბლიოთეკა-სამკითხველოსათვის, შესაფერი ჟურნალ-გაზეთების გამოწერით, საკუთარის თხზულებით, დაურბეჭდავის თუ დაბეჭდილით, ფულით, ნივთებით,—ერთის სიტყვით ყოველგვარის დახმარებით, რითაც შეიძლება საზოგ. სარგებლობა მოუტანოთ. ყოველგვარი შემოწირულება მიიღება საზ. ხაზინადართან ირ. გველესიანთან (მადათოვის ქ. 5). საჭირო ცნობების მიღება საზ. მდივანთან დ. ალაძესთან (ვერდისუბნის ქ. 30).

პატივისცემით საზ. გამგეობა

# წერილი რედ. მიმართ

ამ ერთი თვის წინათ მე ბ. გიგო დოლაბერიძეს ხუთი ამ ლეიბომისთვის საქართველოს ეკლესიის ნივთიერ საშუალებათა გასაძლიერებლად მიართვა მის უწმინდესობას სრულიად საქართველოს კათალიკოზ-პატრიარქს კირიონს კიევში ნაცნობ—მეგობართა შორის მის მიერ შეგროვილი თანხა 3034 მანეთი.—სია შემომწირველთა: გიგო დოლაბერიძე (1000 მანეთი) ასი თუმანი, კოწია კვიმსაძე 500 მ. იასონ კაკაბერიძე 600 მან. გიორგი შარაშენიძე 300 მან. არჩილ კალაშვილი 200 მან. ვასილ ნებიერიძე 50 მანეთი. გრიგოლ კეპალმაძე 100 მანეთი. ასლან სადრაძე 100 მ. კოლა ჩხეიძე სტუდენტი 3 მან. გიორგი მამალაძე 3 მან. გრიშა მეძმარიაშვილი სტუდენტი 3 მან., ნიკო მენდელიანი სტუდენტი 5 მან. ილია წულუკიძე 25 მ. მიხეილ თავართქილაძე 10 მან. კონსტანტინე ყიფიანი 4 მ. ნესტორ ადეიშვილი 10 მ, ნესტორ სიხარულიძე 10 მან. მელსადიონ ფხაკაძე 15 მან. რაჟდენ ფხაკაძე 5 მან. ილარიონ ხუფენიძე 10 მან. სარდიონ კაპეიშვილი სტუდენტი 10 მან. ნიკოლოზ გოგავა 5 მან. როსტომ პიკვერია 15 მან. ქექოკია ბოკუჩავა 25 მან. დათიკო ღემეტრაძე 3 მან. გალაქტიონ გოგლიჩიძე სტუდენტი 2 მან. №№ 1 მ. ნ. ხრამელაშვილი ექიმი 20 მან.

სამი ათას ოცდათოთხმეტი მანათი (3034 მან.)

შემომწირველთ უღრმეს მადლობას ვსწირავთ მამულიშვილურ—ზნეობრივ თანაგრძნობისა და ნივთიერ დახმარებისათვის, რასაც ასე ჰსაჭიროებს ღონიძიების გზაზე დამდგარი სამობელი ეკლესია.

საკათალიკოსო საბჭოს წევრი, დეკ. ნ. თალაკვაძე.

P. S. ნება მიბოძეთ მადლობა მოვახსენო ბ. გიგო დოლაბერიძეს, რომელმაც რწმუნებულ ჩემდამი ახჩისატის ტაძარს შემოსწირა ათი თუმანი ფული.

დეკ. ნ. თალაკვაძე

რედაქტორი **ზაქარია ჭიჭინაძე**.

# კალენდარი

**შაბათი ღვინობისთვის**

**7**

**ქართვ.** წმ. მოც. სერგისა და ბაქოსი.

**კათოლ.** წმ. მარკოზისა.

**სომეხ.** წმ. 72 მოწაფეთა ქრისტესი.

**მაჰმად.** შაბმე 4 რ. ზუხამამ 1336 წ. ჰიჯრისა.

**ებრაელ.** შაბათ 4 რ. ხეშვანისა 5678 წ. ქვეყნ. შექმ.

# ამიერ-კავკასიის რკ. გზის

მატარებლების მოძრაობა

(ტფ. ნაჩვენებია თფილისის)

[illegible]

| | | | |
|---|---|---|---|
| მატარებლები | სამგზ. | № 5, | 11.32 დილ. |
| „ | სამგზ. | № 9, | 11.28 საღ. |
| [illegible] | სამგზ. | № 19, | 5, 1 [illegible] |
| „ | „ | № 17, | 8.19 დილ. |
| [illegible] | [illegible] | № 6, | 9.51 დილ. |
| „ | საფ. | № 4, | 8.46 საღ. |
| [illegible] | სამგზ. | № 4-8, | 12.15 საღ. |
| [illegible] | | | |
| [illegible] | სამგზ. | № 10, | 8.05 დილ. |
| „ | საფ. | № 4, | 7.41 საღ. |
| [illegible] | სამგზ. | № 20, | 7.17 დილ. |
| „ | სამგზ. | № 12, | 9.50 საღ. |
| [illegible] | საფ. | № 8, | 10.26 დილ. |
| „ | [illegible] | № 6, | 10.20 საღ. |
| [illegible] | საფ. | № 8, | 7.53 დილ. |


# საავადმყოფო

საზოგადო ექიმ ხელოსნებისა თბილისის ამხანაგობისა:

დიდი ვანქის ქუჩა № 8. ალექსანდრეს ბაღის ახლო, ტელეფონი 481.

ავადმყოფების მიღება: დილით 10 საათიდან 5 საათამდე.

ზოგადნი—ბავშვთა შინაგან ავადმყოფობისა, დღეობით 10—12 ს. ყოველდღე.
ვენერიულნი—თვალის ავად. 2—3 საათ. ორშაბათობით და ოთხშაბათობით.
ახალნი—ყელის, ყურის და ცხვირის 1—2 საათ. ორშაბათ. და ოთხშაბათ.
ფირაქლოვნი—ქირურგ. ავად. 12—1 საათამდე.
მონხე—ბავშვთა შინაგან ავად. 1—3 საათამდე ყოველ დღე.
ჩუდნოვსკი—შინაგან და ნერვიულ ავად. 12—1 საათ. ხუთშაბ. და კვირაობით.
ბეგზადოვი—ქალთა და სნეულთა ყოველ-დღე 2—3 საათამდე.
იოხელსონი—ქალთა და სნეულთა ავად. დღეობით ორშ., ოთხშ. და პარ. 11—12 ს.
ნარიმანოვი—ვენერიული ავად. ყოველ-დღე 10—11 საათამდე.
დეკანოზოვი—ქალთა ავად. სამშაბათ. ხუთშაბ. და შაბათობით 12—1 საათ.
ტრიაცკაია—ქალთა და ქირურგ. ავად. ყოველდღე ქირურგ. 2—3 საათამდე. ქალთა ავადმყოფ. 3—4 საათამდე.
ბაგდოევი—კბილის ექიმი ყოველ-დღე 3—5 საათამდე.
ალიხანოვი—კბილის ექიმი ყოველ-დღე 10—12 საათამდე.

100—667—80